ალექსანდრე ნაზღაიძე

მეცხვარიშვილების გვარი

გამომცემლობა „გვარიშვილობა“
თბილისი
2013

გამომცემლობა „გვარიშვილობა“ აგრძელებს ცალკეული საგვარეულო ისტორიების გამოცემას. ამჯერად წარმოდგენილია: მეცხვარიშვილთა გვარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც თავმოყრილია: ზეპირსიტყვიერი, დოკუმენტური, ტოპონიმური და სტატისტიკური მასალა.

წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია პირველ რიგში მეცხვარიშვილთათვის და გენეალოგიით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

რედაქტორი: **ვალერიან ითონიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ISBN 978-9941-9228-2-4

© გამომცემლობა „გვარიშვილობა“, 2013



მეცხვარიშვილების საგვარეულო ხატი

ხატმწერები: მამუკა შენგელია
გოჩა კაკაბაძე

გვარსახელი „მეცხვარიშვილი“ თავისი სემანტიკით ხელობა-საქმიანობის აღმნიშვნელი გვარების ტიპს მიეკუთვნება. ამ ტიპის გვარსახელები მრავლად გვხვდება ქართულ პატრონომიკაში, მათი უმრავლესობა მრავალძირიანი გვარებია.

მეცხვარიშვილი მეცხვარის შთამომავალს ნიშნავს. შეუძლებელია საქართველოს სხვა და სხვა მხარეში მცხოვრები ყველა მეცხვარიშვილი, რომლებიც ერთმანეთთან სულაც არ ნათესაობენ, ერთი ვინმე მეცხვარის შთამომავლები იყვნენ. ისევე როგორც ერთი მჭედლის შთამომავალნი ვერ იქნებიან მჭედლიშვილები, იგივე ითქმის: ხარატიშვილებზე, მეხრიშვილებზე, მდივნიშვილებზე, ნაცვლიშვილებზე, მეზვრიშვილებზე, მგალობლიშვილებზე და სხვა.

გვართა მრავალძირიანობა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა საქართველოში ანუ საქართველოს სხვა და სხვა მხარეში მცხოვრები სრულიად სხვა და სხვა წარმომავლობის გვარმოდენილობებს, ხშირად ერთი და იგივე გვარსახელი აქვთ.

მეცხვარიშვილთა გვარის შიგნით არსებული ზეპირი გადმოცემები ადასტურებს ამ გვარის მრავალძირიანობას. მაგალითად: ზემო იმერეთის სოფელ სავანეში მცხოვრებ მეცხვარიშვილებს წინა გვარად დავითიძეობა ახსოვთ; შიდა ქართლის სოფელ ხოვლეში მცხოვრებ მეცხვარიშვილებს წინა გვარად შანშიაშვილობა ახსოვთ; შიდა ქართლის სოფელ მერეთში მცხოვრებ მეცხვარიშვილებს წინა გვარად ლომსაძეობა ახსოვთ; ასევე სხვა და სხვა წარმომავლობა ჰქონიათ გარე და შიგნით კახეთის მეცხვარიშვილებსაც.

ამრიგად, საქმე გვაქვს გვარის მრავალძირიანობასთან.

ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ საისტორიო საბუთებში მეცხვარიშვილთა გვარი XVII საუკუნიდან ჩანს. ყველაზე ძველი საბუთი რომელშიც პირველად იხსენიება მეცხვარიშვილი XVIII საუკუნის დამდეგით თარიღდება. ეს გახლავთ საკმაოდ დაზიანებული, თავ-ბოლო ნაკლული გრაგნილი, ზემო ქართლის გლეხთა აღწერის ნუსხა, სადაც სავარაუდოდ სოფელ

ნულის მცხოვრებთა შორის იხსენიება მეცხვარიშვილთა ერთი კომლი:

„ქ. ბეჟიტაშვილი გიორგი კვამლი ა.
ქ. სუხიაშვილი სულხანა კვამლი ა.
.....
ქ. გორჯოლიძე ბერი კვამლი ა.
ქ. მერაბაშვილი პაპუნა კვამლი ა.
ქ. გორჯოლიძე გიორგი კვამლი ა.
ქ. ბახტაძე ... კვამლი ა.
ქ. გამგებელი კვამლი ა.
ქ. კიდევ ბერი შავაძე კვამლი ა.
ქ. მეცხვარიშვილი კვამლი ა.
ქ. მეზვრე იორდანე კვამლი ა.
ქ. იქავ მეზვრე გიორგი კვამლი ა.
ქ. ლომიძე კვამლი ა.
ქ. იქავ ნულს აყრილი მამული მჭედლიშვილისა ა.
ქ. ზაზუაშვილის დათუნას მამული ა.
ქ. კიდევა ზაზუშვილის სეხნიას მამული ა.
ქ. ბახტაძის ტატიას მამული ა.
ქ. შიო ნანუაშვილის მამული ა.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Qd, საბუთი 7014; ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ.II, თბ., 1974, გვ. 83).

სოფელი ნული შიდა ქართლის ზემო ნაწილში მდებარეობს. 1600-იანი წლების დასაწყისში აქ მეცხვარიშვილთა გვარის ერთი ოჯახი ცხოვრობდა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვარი ამ დროიდან და ამ ადგილიდან იწყება. ეს მხოლოდ პირველხსენებაა მეცხვარიშვილთა გვარისა, ჩვენს დრომდე მოღწეულ საბუთებში.

XVII საუკუნის II ნახევრის, ზემო ქართლის სადროშოს აღწერის მიხედვით იმავე სოფელ ნულში იხსენიება ერთი ოჯახი მეცხოვრიშვილი:

„ქ. ბოგანო მეცხოვრიშვილი დათუნა კუამლი ერთი პაპუნა,

მისი ძმა თამაზა,
იმისი ნაშენი ხუთი ვაჟი.“

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Qd, საბუთი 7017; ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ.II, თბ., 1974, გვ. 46).

ამ ოჯახიდან ზემო ქართლის სადროშოში, ანუ მემარჯვენე სადროშოში შვიდი მეომარი გამოდიოდა.

როგორც ჩანს, მეცხოვრიშვილთა ეს ოჯახი წარმოადგენს მეცხვარიშვილთა იმ ოჯახის გაგრძელებას, რომელიც წინა საბუთში იყო მოხსენიებული.

ჩვენ ვდგევართ ფაქტის წინაშე: ერთი და იგივე ოჯახი XVII საუკუნის დამდეგს ჯერ მეცხვარიშვილად არის ჩაწერილი, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე მეცხოვრიშვილად იხსენიება.

გვარსახელის წერისას ასოთმონაცვლეობა უცხო არ იყო ძველი ქართული საბუთებისთვის, მაგალითად: გვათუა//გოთუა, დორეული//მდორეული//დვარეული, მძელური//ძევალური//მძევლური, ქვაჩაკიძე//ქოჩაკიძე, ჭანკოტაძე//ჭანკვეტაძე, მიყორაიძე//მიყვარაშვილი და სხვა მრავალი. ასე რომ სოფელ ნულის მეცხვარიშვილ-მეცხოვრიშვილთა შემთხვევა გამონაკლისი არაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქ საუბარია შიდა ქართლის ერთ სოფელში მცხოვრებ მეცხვარიშვილთა და მეცხოვრიშვილთა იგივეობის შესახებ, რაც დოკუმენტურად დასტურდება, მაგრამ ეს იგივეობა არ ვრცელდება საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ მეცხვარიშვილთა და მეცხოვრიშვილთა გვარებზე.

შემდეგი საბუთი რომელშიც მეცხვარიშვილთა გვარი იხსენიება 1676 წლით თარიღდება, ეს გახლავთ ნასყიდობის წიგნი, რომელიც დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის შვილიშვილებს მიუციათ აზნაურ შანშიაშვილებისთვის:

„ქ. სახელითა სახიერისათა არსება დაუსაბამოსა დაუსრულებელისა ღმთისათა მამისა ძისა და სულისა წმიდისა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა ყოვლად პატიოსანისა დედოფლისა ჩვენისა ღმთისა მშობლისა მარადისა ქალწულისა მარიამისათა თავდებობითა მინდობითა და

შუამდგომლობითა წმინდისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა პატიოსანისა რომელსა ზედან განიჰყარა უხრწნელნი მკლავნი თვისნი ქრისტემან ღ~თან ჩვენმან და დასთხია უფასო სისხლი იგი ხსნისა ჩვენისათვის მისთა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდისა უხორცოთა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა მიქელ გაბრიელისათა წმინდათა ათ თორმეტთა მოციქულთა და თავმოციქულთა პეტრესითა და პავლესითა წმიდისა და წინასწარ მეტყუელისა იოვანესითა და იოვანე მახარებელისათა ოთხთა თავთა მახარებელთა მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა სამოცდაათთა მოწმეთა და თავადთა მოწმეთა გიორგი დიმიტრი ევსტატესითა რანიცა წმინდანი დიდსა და საუფლოსა სვინაქსარშიგან სწერიან და ანუ მოიხსენებიან მათ ყოველთა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა ესე უთუო უთუმცაო დრო დაუდებელი და მიზეზშემოუღებელი ყოვლისა ჩხუბისა და ილეთისაგან განწმენდილი ნასყიდობისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ მოურავიშვილმა თარხანმა ბატონმა გიორგიმ ბატონმა ავთანდილ, დავით... ზურაბ შვილმა და მომავალმა ჩვენმა, შენ შანშიან მარტიროზიშვილს მდივანს ბეგთაბეგს შვილსა შენსა ავთანდილს და ბეჟანს, შვილსა და მომავალსა სახლისა შენისათა მას ჟამსა ოდეს თქვენდა სამხაროდ ერთი მიწა იყო და ის გუთხოვე და ჩვენც ჩვენის ნებამყოფალობით მოგყიდეთ და ავიღეთ თქვენგან ფასი სრული და უნაკლულო რასაცა ჩვენი გული შეგჯერდებოდათ არის ამ მიწის სამზღურიზეითი თავი აძურის წყაროსაკენ ღვინიაშვილის მიწის მიდგმამდის ერთი გვერდი ქვეშეთ შარამდისინ, ერთი გვერდი ზედათ შარამდისინ **მეცხვარიშვილის** მიწის მიდგმამდის და ქვეშეთ ბოლო გორა რომ არის შენისავ მიწის მიდგმამდის ეს ხოდაბუნი ასრე ხელ შეუალად ყოვლის კაცისაგან უცილებლად თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის მოგვიყიდია. არას კაცს ხელი არა ჰქონდეს. ხელ გეწიფებოდეს გასასყიდლად, გასაზითავად რასას ჯერისად მოსახმარებლად თუ ვინმე მოდავე გამოჩნდეს პირისა და პასუხის გამცემნი ჩვენ ვიყვნეთ. ვინც ეს ჩვენგან მოსყიდულობა მოგიშალოს იგიმცა შეიშლე-

ბის მისის რჯულისაგან. ნურათამცა ხსნით ნუ იქნების ხსნა სულისა მისისა. შემცა ედების კეთრი გებისა შიშითული იუდისა ცოცხლივ დანთქმა და თანაბრიონისა მეხ ტეხილობა დეოს კორესი, მასამცა რისხავს თავად ღმერთი ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელნი და უხორცონი და ესე ზემოწერილნი ღთისანი, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღ~თი აკურთხნეს. არიან ამისნი მოწმენი გიორგი ქართველიშვილი, ქაიხოსრო ალის მამასახლის შვილი ფარემუზა, ჩვენი აზნაურის შვილი ცალქალამიძე, გიორგი ჩივაძე, სულა ნაბახტეველნი და ჩვენი მსახურ აზნაურისშვილნი. მე მუშრიბს გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქკს ტნიდ."

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd, საბუთი 2380). გაყიდული მიწის ნაკვეთი, რომლის ერთი გვერდი მეცხვარიშვილის მიწას ესაზღვრებოდა, ჩვენი ვარაუდით დღევანდელი ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ასეთი ვარაუდისკენ გვიბიძგებს ის ფაქტი, რომ საბუთში მოწმეთა შორის იხსენიებიან „ალის მამასახლისის შვილი" და „სულა ნაბახტეველნი". ნაბახტეველი ამ შემთხვევაში სადაურობაა და არა გვარი. ალი და ნაბახტევი მეზობელი სოფლებია ხაშურის მხარეში. სოფელ ნაბახტევში გიორგი სააკაძის შთამომავლები მოურავისშვილები, იგივე თარხან-მოურავები, იგივე თარხნიშვილები ყმა-მამულს ფლობდნენ. სხვათა შორის შანშიაშვილებზე გაყიდული ეს მამული თარხნიშვილებს მოგვიანებით ისევ დაუბრუნებიათ. ნასყიდობის საბუთს ბოლოში შემდეგი მინაწერი აქვს: „ესე ჩვენ დავიხსენით თავადი დავით ზაზას ძე თარხანმოურავი."

ამ ამბიდან ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ის არის, რომ 1670-იან წლებში, სადღაც ალი-ნაბახტევის მიდამოებში მეცხვარიშვილს უცხოვრია ან მიწის მფლობელი ყოფილა.

XVII საუკუნის მიწურულს მეცხვარიშვილთა გვარი იმერეთში დაწერილ საბუთში ხსენდება. ეს გახლავთ 1694 წლის წყალობის წიგნი, რომლის მიხედვითაც იმერთა მეფის ალექსანდრე IV-ის თანამეცხედრე თამარ დედოფალი გაქცეულ ყმას უბრუნებს წინამძღვარ მარკოზ წერეთელს:

„ქ. ჩვენ მღვთივ აღმაღლებულმან, მღვთივ დამყარებულმან და ცვა-ფარვათა მისთა შევედრებულმან დედოფალთ-დედოფალმან აბაშიძისა ასულმან პატრონმან თამარ ესე წყალობისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ. წერეთელს წინამძღვარსა მარკოზს, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე თქვენი ყმა დოლმაზას **მეცხვარის-შვილი** დათუნა მისის ცოლშვილით წამოგვივიდათ და ჩვენ შემოგეხვეწა. ნასყიდი გყოლოდათ და თქვენ დაგვიწყეთ ხვეწნა და ქრთამიც მოგვართვით და ის შენი კაცი დათუნა მეცხვარე მისის ცოლშვილით შენვე გიბოძე და შემოგარიგე გყავდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულობასა და სამსახურს შიგან. არას მეპატრონეს და არცა სხვას კაცს ამ დათუნას მეცხვარესა და მის ცოლშვილთან არა ხელი აქ. მისად გასათავებლად თავდებად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელნი და უხორცონი კაცთაგან ამისი მოწამე ნიჟარაძე ბასილი, აბაშიძე რევაზ, მაჭავარიანი მამუკა. დაიწერა წიგნი და სიგელი ბრძანებითა ჩვენითა კარისა ჩვენისა მწიგნობარის მდივნის გურგენის ხელისათა ქ~კს სამას ოთხმოცდა ორსა. + თამარ.“

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd, საბუთი 2706). როგორ უნდა გავიგოთ „დოლმაზას მეცხვარის შვილი დათუნა“? ეს დათუნა გვარად მეცხვარიშვილი იყო თუ მეცხვარე დოლმაზას შვილი იყო. საბუთიდან ჩანს რომ მეცხვარის შვილი დათუნა თვითონაც მეცხვარე ყოფილა. საბუთში ორჯერ იხსენიება „დათუნა მეცხვარე“ და არა დათუნა მეცხვარიშვილი. საბუთიდან ისიც ირკვევა, რომ ეს ოჯახი წერეთელს ნასყიდი ჰყოლია, ანუ დოლმაზა მეცხვარე და მეცხვარის შვილი დათუნა მეცხვარე მკვიდრი საწერთლოელი გლეხები არ ყოფილან.

იმერეთის დედოფალს გაქცეული გლეხი მეცხვარის შვილი დათუნა ისევ თავის ბატონთან დაუბრუნებია და ბატონი და ყმა შეურიგებია. აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ოჯახი საწერეთლოში დამკვიდრდა. მეცხვარე დათუნა მეცხვარის შვილი შეიძლება

იმერეთში ამჟამად მცხოვრები მეცხვარიშვილების ერთ-ერთი თაობის წინაპრად მივიჩნიოთ.

მეცხვარიშვილი დათუნა (ალბათ ეს სხვა დათუნაა) იხსენიება 1700 წლის შიდაქართლის მეკოდისპურე გლეხთა ნუსხაში. ამ ნუსხის მიხედვით გლეხი დათუნა მეცხვარიშვილი თავისი ოჯახით ცხოვრობდა საამილახვროს სოფელ ახრისში და იყო აზნაურ შიოშ ყანჩიელის ყმა. (ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი 3602). ვერაფერს ვიტყვით: იმერეთში საწერეთლოს, ქართლში საამილახვროს თუ სოფელ ნულის ან ალი-ნაბახტევის მეცხვარიშვილებს შორის რაიმე ნათესაური კავშირის შესახებ, თუმცა ვერც გამოვრიცხავთ ასეთ შესაძლებლობას.

XVIII საუკუნის I მეოთხედის კახეთის ხალხის აღწერის მიხედვით მეცხვარიშვილთა გვარი კახეთშიც ჩნდება:

„ქ. კონდოლს მდივნის გორჯასპის ყმა:

ქ. მოსე თაგვაშვილი მოხელე კვამლი ა. თავია, თოფია.

ქ. გვენცაძე რამაზა სალთხუცესი კვამლი ა. თავი ბ, თოფი ბ.

ქ. ჭიბალა

ქ. ცქირიასშვილი ბერო

ქ. ნისკარტა პაპურა მეზვრე კვამლი ა, თავი ა, თოფი ა.

ქ. მეცხვარისშვილი ნასყიდა ხაბაზი.

ქ. თევდორე მაჩვისშვილი კვამლი ა, თავია, თოფი ა.

ქ. ივანე ნონიაშვილი ამის საური ბატონს ეპატივებინა

ქ. ზალინას ობოლი.

(ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ.I, თბ., 1967, გვ. 104; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd, საბუთი 1607).

გლეხი ნასყიდა მეცხვარის შვილი XVIII საუკუნის დასაწყისში შიგნით კახეთის სოფელ კონდოლში ცხოვრობდა, იყო ვინმე გორჯასპი მდივნის ყმა, ამავე დროს ყოფილა ხაბაზი და როგორც აღწერიდან ჩანს არ გადიოდა კახეთის სამეფო ლაშქარში.

1721 წელს მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით და ბატონიშვილის ვახუშტი ბაგრატიონის ხელმძღვანელობით ჩატარდა

ქვემო ქართლის ანუ მოწინავე სადროშოს აღწერა. ამ აღწერის მიხედვით ქვემო ქართლის სამ სოფელში მეცხვარიშვილთა ხუთ ოჯახს უცხოვრია:

„ქ. ტამალას:
ჭარუმაშვილი ნაზარა კომლი ა, თავი ბ.
ამისი განაყოფი ათაბაგა კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ დორათაშვილის ბიძინას
ყმა ასლუაშვილი ნაზარა კომლი ა, თავი ა.
პაპიაშვილი პაპია ... კომლი ა, თავი ა.
ასლუაშვილის განაყოფი სარქისა კომლი ა, თავი ა.
აბუაშვილი სააკა.... კომლი ა, თავი ა.
ნარიმანა .... კომლი ა, თავი ა.
ბოგანო მარტიროზა
ქ. აქავ დორათაშვილის ზაალის ყმა:
მერიანაშვილი ბაინდურა კომლი ა, თავი ბ.,
შერმაზანა .... კომლი ა, თავი ა.
შერუა მეცხვარიშვილი კომლ ა, თავი ბ.
ბაინდურა პაპიაშვილი ... კომლი ა, თავი ა.
აშულიშვილი ასლანა კომლი ა, თავი ა.
მანთაშაშვილი ვართანა კომლი ა, თავი ბ.
ბოგანო ალუა
ბოგანო თურაზა
იქმნა ჯამი: კომლი იგ, ბოგანო გ.“

(აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, რედაქტორი ე. თაყაიშვილი, თბ., 1907, გვ. 181).

„ქ. ქვემო ყაჯილუხს:
მეცხვარიშვილი მამულა კომლი ა, თავი ა.
ამისი ძმა ამირხანა..... კომლი ა, თავი ა.
ამის განაყოფი თურაზა... კომლი ა, თავი ა.
კაკიაშვილი ხეჩატურა ... კომლი ა, თავი ბ.,
ხოჯიშვილი გიქუა ..... კომლი ა, თავი ა.
აქავ აყრილი..... კომლი ე.
მსახლობარის ჯამი .... ე.“

(იგივე აღწერა გვ. 196).

„ქ. ხნძორის სოფელს დბანელის ყმა:

ქ. ულუხანაშვილი კირაკოზა... კომლი ა, თავი ა.

ქ. სადიაშვილი ვართანა .... კომლი ა, თავი ა.

ქ. კირაკოზაშვილი ბაინდურა .... კომლი ა, თავი ა.

ქ. მელიქაშვილი იერიბეგა ... კომლი ა, თავი ა.

ქ. ყაზარაშვილი პაპია .... კომლი ა, თავი ა.

ქ. დინაოძაშვილი ასლამაზა კომლი ა, თავი გ.

ქ. იეგანაშვილი სარუხანა კომლი ა, თავი ა.

ქ. ბაბანაშვილი აზადა კომლი ა, თავი ა.

ქ. ბეგიჯანაშვილი დავითა კომლი ა, თავი ა.

ქ. ბეგიჯანა ბიგანო კომლი ა, თავი ა.

ქ. ამირგულა ბოგანო კომლი ა, თავი ა.

ქ. მეცხვარიშვილი სარქისა ბოგანო კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ აყრილი კომლი გ.

ქ. ამისი ჯამი მსახლობარი კომლი თ.

ქ. ბოგანო გ.

(იგივე აღწერა, გვ. 391-392). როგორც ვხედავთ ქვემო ქართლის მეცხვარიშვილებს სხვადასხვა სოციალური სტატუსი ჰქონიათ. ტამალელი მეცხვარიშვილები საბატონო გლეხები ყოფილან, ხნძორელი მეცხვარიშვილები საეკლესიო გლეხები ყოფილან, ხოლო ქვემო ყაჯრულუხელი მეცხვარიშვილები როგორც ჩანს სახასო გლეხები იყვნენ. ყურადღებას იქცევს ქვემო ქართლელი მეცხვარიშვილების სახელები. მამულა ქართული და ქართველებში გავრცელებული სახელი იყო, ხოლო შერუა, ამირხანა, თურაზა და სარქისა არაქართული სახელებია. ეს სახელები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ქვემო ქართლელ მეცხვარიშვილებში, ისევე როგორც საერთოდ ქვემო ქართლის ქართულ მოსახლეობაში, XVIII საუკუნის I ნახევარში უკვე ფართოდ იყო გავრცელებული სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება. აღწერიდან ისიც ირკვევა რომ მეცხვარიშვილთა ამ ხუთი ოჯახიდან ქართლის სამეფო ლაშქრის მოწინავე სადროშოში ექვსი მეომარი გამოდიოდა.

ვერაფერს ვიტყვით ქვემო ქართლელი მეცხვარიშვილების შთამომავალთა შესახებ. ამჟამად ქვემო ქართლში მეცხვარიშვილთა გვარი აღარ ჩანს. მოწინავე სადროშო ხშირ შემთხვევაში პირველი შედიოდა ბრძოლაში და შესაბამისად ამ სადროშოში მსხვერპლი უფრო მეტი იყო. გარდა ამისა, ქვემო ქართლი იყო ის ადგილი, რომელიც პირველი ხვდებოდა შემოსეულ მტერს, სადაც ხშირად იჟლიტებოდა მოსახლეობა და საიდანაც ხშირად იხიზნებოდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის ქართული მოსახლეობა საგრძნობლად შეთხელებულია და ამ მხარეში ძველად მოსახლე გვარების კვალიც კი ნაშლილია.

ჩვენ ხელთ გვაქვს XVIII საუკუნის I ნახევრის აღწერის დავთარი. ეს გახლავთ შიდა ქართლის აღწერის ნაწყვეტი, რომელშიც მხოლოდ სამი სოფლის: ღვერეთის, რუისის და ნულის მოსახლეობაა აღწერილი. სოფელ ნულის მცხოვრებთა შორის იხსენიება მეცხვარიშვილთა ერთი ოჯახი:

„ქ. იქავ ნულის მსახური დალაქი ..... ა.
ქ. ბასილია .....ა.
ქ. გიორგი ცმაცვიაშვილი .....ა.
ქ.ლომიძე .....ა.
ქ. სუხიაშვილი .....ა.
ქ. ხატისკაცი თამაზა .....ა.
ქ. ბახტაძე ზაზუტა.....ა.
ქ. იქავ ბოგანო ბეჟიტა.....ა.
ქ. ორი მეზვარე .....ა.
ქ. მეცხვარიშვილი .....ა.
ქ. იქავ ნულსა აყრილი მამული ბახტაძე .....ა.
ქ. გორჯილაძე ბერია .....ა.
ქ.ზაზუაშვილი .....ა.
ქ.მჭედლიშვილი.....ა.
ქ. კიდევა ზაზუაშვილი .....ა.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Qd, საბუთი 8640; ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ.II, თბ., 1974, გვ. 96-97).

მიგვაჩნია, რომ მეცხვრიშვილთა ეს ოჯახი არის XVII საუკუნის დამდეგს ნულში მცხოვრები მეცხვარიშვილის შთამომავალი.

1733 წელს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიას ყმა-მამული შესწირა: რაჭაში, იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში. შეწირულობის სიგელი საკმაოდ ვრცელია, ამჯერად ჩვენთვის მხოლოდ ის მონაკვეთია საინტერესო, სადაც ჩამოთვლილია იმერეთში შეწირული ყმა-მამული:

„გელათს სასახლე სამხრეთის კერძო მისის გაწყობილობით, ორი მოსახლე მეახორე სახლებულიყო და დაკარგულიყო და მათი მიწა-მამული ამოვიღე და მოჯალაბენი დავასახლე.

ერთი მოსახლე კაცი სორმონს თათრისაგან ვიყიდე გიორგი ხამთაძე და მის შვილი ბასილი, ხატს შევწირე, ერთი შამახური სანთელი დავადევი; მეორე მოსახლე კაცი კიდევ სორმონს ქორქიას საპარდახო ვიყიდე და იმაზედ დავასახლე, ხატს შევწირე მისი ყოვლისფერიანად და ერთი შამახური სანთელი დავადევი.

ოკრიბას ობოლაძენი და კუბლაშვილები დავით კათალიკოზს ეშოვნა და ბეგრის არა ეკითხა რა, დიდი ბეგარა ემართათ და მეც არა ვიკითხე რა. ის დიდი ბეგარა შევაწიე და თითო შამახური სანთელი დავადევი რომ გაიყოფოდენ ეს თითო შამახური სანთელი თან გაყვებოდენ.

არგვეთს იოანე ჟანარია და მისი ძმაი მათის ყოვლისფერიანად; სვიმონ გულაშვილი, ათანდილა და მისი ძმა არუთენ, ოჰან ტერტერა და მისი შვილი.

ოფჩას ჩხიკვაძე ზაქარია და მისი ძმაი, მისი ყოვლისფერიანათ.

გეგუთს მეცხოვრისშვილის პარტახი, მისის მოჯალაბიანათ.

მესხეთს მახარობელი შალამბერიძე და სამი მოსახლე სულამანიძე მათის ყოვლისფერიანათ.

ფარცხანაყანევს ფხაკაძე დათუა და მისი ძმა მისის ყოვლისფერიანათ და აბაშიძის შეწირული მარდალეიშვილი ხუცესი და მისი განაყოფი მისის ყოვლისფერით.

ბაჟს ერთი მოსახლე კაცი.

საჩინოს ხავთასი წინამძღვარი მაკარიოზ და მისი ძმაი გიორგი და სამი სხვა მაკარიოზის გლეხი: მახარაძე ნასხიდა და ორი სხუა, ავალიანი ხუცესი ლაზარე და მამისთვალი, მისი ძმა და ორი მისი ძმისწული ეს ყუელა საჩინოს მათის ყოვლისფერიანად.

სამიქელაოს სასახლე გვაზაური ნიჟარაძისეული მისის გაწყობილებით. მამუკა მიქელაძისაგან ვიყიდე ერთი იქაური ძირი ყმა კახაბერა ფანცულაია და მისი ძმა მახარობელი, მეორე მოსახლე ჩემი ამოყვანილი იოვანე ფრანგისშვილი ელია და მისი ძმა გიორგი, მესამე მოსახლე მალაღურაძე შაქარა და მისი ძმა გიორგი, მეოთხე მოსახლე ნადირაია უკულაშა, მეხუთე საღარაძე მოგელა და მისი სიძე მახარობელი მებუკე, მეექვსე მოსახლე ივანდიდელი ქაბზინაძე მახარობელი, ესენი ყველა ტყით, წყლით მათის ყოვლისფერიანათ.

ტყვირს მონასტერი თორმეტი მოსახლე კაცით მეფემან ალექსანდრემ დადიანის ქალის თავისის მეუღლის ნიშანშიდ შესწირა სამწყსოიან-ნიშნიანად ტყით, წყლით, აგარაკით და სავენახით უძებარ-საძებრიანად.

საჭილაო აზნაურისშვილებს ყველას მისი ნიშანი მართებს.“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad, საბუთი 2251 გ; ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი. დოლიძე, ტ.III, თბ., 1970, გვ. 729-730).

1733 წელს გეგუთში მეცხოვრიშვილის პარტახი ანუ უპატრონო მამული ყოფილა. ამ დროისთვის იმერეთის სოფელ გეგუთში მეცხოვრიშვილებს აღარ უცხოვრიათ, მაგრამ მამულს ჯერ კიდევ მათი სახელი ერქვა. მეცხოვრიშვილთა გვარის ისტორია ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს. მეცხოვრიშვილი და მეცხვარიშვილი სხვადასხვა გვარებია. ეს საბუთი უფრო იმის საჩვენებლად მოვიტანეთ, რომ მეცხოვრიშვილთა გვარი ძველადვე არსებობდა და ეს არ არის მეცხვარიშვილის შეცდომით ჩაწერის შედეგად გაჩენილი

გვიანდელი გვარსახელი, როგორც მიაჩნიათ ზოგიერთ მეცხოვრიშვილად დაწერილ მეცხვარიშვილებს და რომლებიც ამის გამო გვარის აღდგენას არც აპირებენ.

მეცხვარიშვილთა მეცხოვრიშვილად, მემცხვარიშვილად ან მეცხვრიშვილად ჩაწერა ძველადაც ხდებოდა, მაგრამ ეს იყო ცალკეული შემთხვევები. ამათგან მემცხვარიშვილი და მეცხვრიშვილი როგორც გვარი, დღეს აღარ არსებობს, მათი შთამომავლები ისევ მეცხვარიშვილები არიან, ხოლო მეცხოვრიშვილი, საისტორიო საბუთების მიხედვით ძველადაც არსებობდა და დღესაც არსებობს, როგორც დამოუკიდებლად წარმოშობილი გვარი.

შემდეგი საბუთი რომელშიც მეცხვარიშვილთა გვარი იხსენიება, 1765 წლით თარიღდება. ეს გახლავთ შიდა ქართლის საეკლესიო გლეხთა ვრცელი ნუსხა. მთელ აღწერას აქ ვერ წარმოვადგენთ და არც არის ამის საჭიროება, მოვიტანთ მხოლოდ იმ ერთი სოფლის მოსახლეობის სიას, რომელშიც იმ ხანად მეხცვარიშვილთა ოჯახს უცხოვრია:

„მეტეხს პატრიარქის სახასო.
ქ. აზმაიფარაშვილი ნაცვალი ელისბარ მეკომლე.
ქ. ამ ნაცვლის ნასყიდი ხაბელაშვილი ნასყიდა უმამულო.
ქ. ამის ნასყიდი ზაზუაშვილი ქიტუა უმამულო.
ქ. ბარნაბესშვილი ივანე მეკომლე.
ქ. გეჯაძე ბერი მეკომლე.
ქ. ტატანაშვილი ივანე მეკომლე.
ქ. დოშასშვილი ბერუა მეკომლე.
ქ. მაზიტაშვილი ქიტესა მეკომლე.
ქ. გზირიშვილი ივანე მეკომლე.
ქ. მამისაშვილი ძეგველი პაპას საკომლოზე დგას.
ქ. ნაცვლიშვილი სიმონა მეკომლე.
ქ. აღნიაშვილი ბერუა მეკომლე.
ქ. ჯავახი ადუაძე თევდორე საკომლოზე დგას.
ქ. ჯავახი არაბაშვილი დათა საკომლოზე დგას.
ქ. ჯავახი არაბაშვილი სარქისა საკომლოზე დგას.
ქ. გეჯაძე ოთია ნოქარი ბოგანო.
ქ. გახუაშვილი შერმაზანა ბოგანო.

ქ. პატარქალაშვილი დავითა ობოლი ბოგანო.

ქ. კოღერაშვილი ტეტია ბოგანო.

ქ. ბოჭორაძის ყმა მერაბაშვილი დავითა მეკომლე.

ქ. ამისი ყმა მერაბაშვილი შერმაზანა ბოგანო.

ქ. მაღალაშვილი სალთხუცესი გიორგი აზნაურიშვილი.

ქ. ამისი ყმა ჩოჩელი ანიაშვილი ლომიტა უმამულო.

ქ. ამისი ყმა ნიაბელი ხუდაშვილი ივანე უმამულო.

ქ. ამისი ყმა თრიალელი დარჩიაშვილი კაცია უმამულო.

ქ. ამისი ყმა წინარეხელი აღაპიშვილი გოგია უმამულო.

ქ. ამისი ყმა თრიალელი თელიშვილი ბერუკა უმამულო.

ქ. მაღალაშვილი მოურავი იოსებ აზნაურშვილი.

ქ. ამისი ყმა თრიალელი ქიტუა ბოგანო.

ქ. ამისივ ნასყიდი დარჩილაშვილი იესე უმამულო.

ქ. სალთხუცის გიორგის ყმა ხეჩუაშვილი ხეჩუა უმამულო.

ქ. მაღალაშვილი გოგია აზნაურშვილი.

ქ. ამისი ყმა ნიაბელი ხუციშვილი ბერუკა უმამულო.

ქ. მაღალაშვილი დავით აზნაურშვილი.

ქ. ამისი ყმა იგრიაშვილი მახარა მეკომლე.

ქ. ამისი ყმა ნიაბელი გაბიტაშვილი გიორგი უმამულო.

ქ. ამისი ყმა წინარეხელი ბიძინაშვილი თევდორე უმამულო.

ქ. ამისი ყმა მღვდელი გიორგი უმამულო.

ქ. მაღალაშვილი მოსე აზნაურშვილი.

ქ. თუხარელი ნიკოლოზ აზნაურშვილი.

ქ. თუხარელი როსტომ აზნაურშვილი.

ქ. ამისი ყმა მეცხვარისშვილი დათუნა უმამულო.

ქ. ამისი ყმა მალაციძე შემაზა უმამულო.

ქ. მაღალაძე იორამისშვილის ყმა ნუგზარაშვილი პეტრია უმამულო.

ქ. სარდლის ყმა ბოლნისელი არუთინა ხიზანი.

ქ. ამისი ყმა ძაბილაშვილი საზანდარი გიორგი ხიზანი.

ქ. ქსნის ერისთვის ყმა მეჯურისხეველი მელვინისშვილი ბერუა ხიზანი.

ქ. ციციშვილის დემეტრეს ყმა ბეგლარაშვილი როსტომ ხიზანი.

ქ. მანგლელის ყმა თეთრუასშვილი სეხნია ხიზანი.

ქ. კორკოტასშვილის ლუარსაბის ყმა ტომიჩას შვილი აკოფა ხიზანი.

ქ. ოთარ მდივნის ყმა გიგოლაშვილი შერმაზანა ხიზანი.

ქ. გერმანოზისშვილის ყმა ფარეჯანაშვილი პაპა ხიზანი.

ქ. სააკაძე ქაიხოსროს ყმა კოშორელი პაპუნა ხიზანი.

ქ. გოგია თარხნის ყმა ლაზარაშვილი ბერუა ხიზანი.

ქ. ამისი ყმა ნიკოლაშვილი გიორგი ხიზანი.

ქ. ამისი ყმა ბერუა ნალეკარი ხიზანი.

ქ. ამისი ყმა ბაცნავლისშვილი დათუნა ნოქარი ხიზანი.

ქ. ამისი აზნაურშვილი ჯორაშვილი ბაგრატი.

ქ. ამისი ყმა გოჩაშვილი გიორგი ხიზანი.

ქ. თარხნისშვილის ყორიასაულბაშის ზაზას ყმა შეშაბერიძე პეტრია ხიზანი.

ქ. თარხნისშვილის იორამის ყმა აღუბათასშვილი ოთარა ხიზანი.

ქ. კარგარეთლის ყმა ელისბარაშვილი იასე ხუცესი ხიზანი.

ქ. თარხნიშვილის ბერას ყმა აღათანგისშვილი ბეჟან ხიზანი.

ქ. ამისი ყმა ახალქალაქელი ოქროაშვილი გიორგი ხიზანი.

ქ. საქოთახეო კანდელაკი იესე ხიზანი.

ქ. საქოთახეო მორჩილაძე ბახუტა ხიზანი.

ქ. საქოთახეო თაგვისშვილი შერმაზან ხიზანი.

ქ. საქოთახეო ჯანჯალაშვილი იესე ხიზანი.

ქ. საქოთახეო გოგილასშვილი იესე ხიზანი.

ქ. საქოთახეო კავთისშვილი ბეროა ხიზანი

ქ. დიღმელი თეთრაძე გიორგი ხიზანი.

ქ. საამისშვილის ყმა ინაშვილი გიორგი ხიზანი.

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1449, საბუთი 2331, გვ. 7-9).

სოფელი მეტეხი შიდა ქართლში მდებარეობს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დღევნადელი კასპის რაიონის ტერიტორიაზე. როგორც ამ ნუსხიდან ჩანს მეტეხის მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საეკლესიო გლეხები და საეკ-

ლესიო აზნაურების ყმა გლეხები ყოფილან. ხიზანი გლეხებიც მრავლად ყოფილან ამ სოფელში. მათში საბატონო გლეხებთან ერთად ყოფილან ეგრეთწოდებული „საქოთახეო“ გლეხები. ანუ ქვათახევის მონასტრის ყმები. ქვათახევის მონასტერი კავთურას ხეობის სათავეებში მდებარეობს ასევე კასპის რაიონის ტერიტორიაზე. თვითონ სოფელი მეტეხი სვეტიცხოველისადმი შეწირულ მამულში იყო გაშენებული, ასე რომ ომიანობაში მეტეხიდან გამოსული მეომრების რაზმი საეკლესიო ჯარს ერთვოდა. ხოლო სამეფოს ლაშქარში საეკლესიო ჯარი შუაგულ სადროშოში დგებოდა.

1765 წლის აღწერის მიხედვით მეტეხში უცხოვრია გლეხი დათუნა მეცხვარიშვილის ოჯახს. ეს ოჯახი საეკლესიო აზნაურის როსტომ თუხარელის ყმა ყოფილა. დათუნა მეცხვარიშვილი უმამულო გლეხი ყოფილა, ესეიგი გადასახადები არ მოეთხოვებოდა. როგორც ჩანს, მეცხვარიშვილთა ეს ოჯახი მკვიდრი მეტეხელები არ იყვნენ, მოსულები იყვნენ და ჯერ კიდევ უმამულონი. ახალმოსული პირველი ხუთი წლის განმავლობაში ხიზანი იყო. ეს მეცხვარიშვილი ხიზანი არ არის, მაგრამ არც მკვიდრია.

ირკვევა, რომ სოფელ მეტეხში მეცხვარიშვილები ერთხანს აღარ ცხოვრობდნენ. ჩვენ ეს ნუსხა შევადარეთ 1789 წლის შიდა ქართლის „საკათალიკოსო, სახასო და სააზნაურშვილო გლეხების დავთარს“. რომელშიც სოფელ მეტეხის მცხოვრებთა შორის მეცხვარიშვილი აღარ იხსენიება. თუ 1765 წლის აღწერით მეტეხში აზნაურ როსტომ თუხარელს ორი უმამულო გლეხი ჰყავდა მეცხვარიშვილი და მალაციძე, უკვე 1789 წლის აღწერის მიხედვით როსტომ თუხარელს ყმად მხოლოდ მალაციძე შერჩენია. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad- 1769; ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი. დოლიძე, ტ.III, თბ., 1970, გვ. 993). XIX საუკუნეში მეცხვარიშვილი მეტეხში კვლავ იხსენიება.

ჩვენ ხელთ გვაქვს 1773 წლის საბუთი, რომლის მიხედვითაც შიგნით კახეთში, მამულზე დავასთან დაკავშირებით დაფიცების მონაწილეებად იხსენიებიან მეცხრიშვილები:

„ქ. ამ წესით უნდა დაიფიცოს მდივანმა ოთარმა, მდივანმა სვიმონმა და პართენმა, მდივანს უნდა მიჰყვეს **მეცხრიშვილი,** სვიმონს უნდა მიყვეს ალადაშვილი და პართენს მეორე **მეცხრისშვილი.** ასე უნდა შეფიცონ უდაბნოს მამასა, რომ ზემო სათელაოს შარიდამ მოკიდებული ქვემოთ სადამდის მდივანი ფეხს დაადგამდეს თავის მამულობით რომ არც იყოს ჩობახური და არც მეფეებისგან შეწირული უდაბნოსი და ის მამული თავის მამულობით უნდა დაიფიცოს, ხატი უნდა ჩაისვენოს და შემოუაროს. მას უკან თუ ამ ფიცს უკან გუჯარი გამოჩნდეს, გუჯარმა გაარჩიოს და თუ არა და ეს საზღვარი ასე გარდაწყდა. ბატონო ბეჟან ყარჩიბაშისშვილო და როსებ მაყაშვილო, ესენი ასე უნდა დაიფიცოთ და მიჯნები ჩაყაროთ. ღვინობისთვის თ. ქორონიკონს უდა".

(თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 120). საბუთში არ არის ნახსენები სოფელი ან ადგილის სახელი სადაც დაფიცება ხდება. ნახსენებია „სათელაო შარა", ესე იგი სადაო მამული, რომელზეც იფიცებდნენ თელავისკენ მიმავალი შარის მომიჯნავედ ყოფილა.

საბუთში ნახსენები მეცხრიშვილები იმ მეცხვარისშვილი ნასყიდას შთამომავლები უნდა იყვნენ, რომელიც XVIII საუკუნის I მეოთხედის კახეთის აღწერის მიხედვით მდივან-გორჯასპის ყმად სწერია, თელავის მახლობლად სოფელ კონდოლში. მეცხვარიშვილის შთამომავალი ისევ მეცხვარიშვილი უნდა ყოფილიყო და არა მეცხრიშვილი. როგორც ჩანს აქ ჩაწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე.

ფიცში მიყოლა სამძიმო საქმე იყო, ქართულ სამართალში ფიცს უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. ძველ ქართველს ასე მიაჩნდა, რომ „ფიცი მტყუვნისათვინაც ავი არისო და მართლისათვინაც ავი არისო და დამფიცებლისათვინაც ავი არისო".

როგორც ჩანს ეს მეცხვარიშვილები თავისი ბატონებისთვის სანდო ხალხი იყვნენ, რახან ფიცში მიიყოლებდნენ.

დღეს კონდოლში მეცხვარიშვილები აღარ ცხოვრობენ, მაგრამ დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდი, რომ თელავის მახ-

ლობლად მდებარე სოფელ გულგულაში, შიგ თელავში და კონდოლის მეზობელ სოფელ წინანდალში მცხოვრები მეცხვარიშვილები ნათესაურ კავშირში არიან XVIII საუკუნის კოდოლელ მეცხვარიშვილებთან.

1774 წლიდან მეფე ერეკლეს ბრძანებით დაიწყო ქართლ-კახეთის ცალკეული ხეობების აღწერა. ყოველ სოფელში აღწერდნენ ყოველ კომლს, ითვლიდნენ მხოლოდ მამაკაცებს 16-დან 60 წლამდე. ეს იყო დრო როდესაც საქართველოში პირველად გვქონდა მცდელობა არმიის ჩამოყალიბების.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არასდროს გვყოლია არმია. ჩვენ გვყავდა ლაშქარი, რომელიც იყრებოდა ომის დროს და იშლებოდა ომის შემდეგ. ქართული ლაშქარი შედგებოდა ქუდზე კაცად გამოსული თავად-აზნაურობისაგან და მთიელებისაგან. ესენი შეადგენდნენ ლაშქრის ძირითად ნაწილს. ლაშქარში მონაწილეობდნენ მსახური გლეხებიც, მაგრამ აზნაურებისაგან და მთიელებისგან განსხვავებით ისინი ლაშქარში კომლზე კაცად გამოდიოდნენ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მსახურ გლეხთა კატეგორია გლეხთა საერთო მასის 20 პროცენტზე ნაკლები იყო, გამოდის რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ლაშქარში ანუ ქვეყნის დაცვაში საერთოდ არ მონაწილეობდა. გლეხკაცი ხნავდა და თესავდა, მიწას ჩასცქერდა, ქვეყნისას არას კითხულობდა, ქვეყნის დაცვა საკუთარ საქმედ არ მიაჩნდა. შემოსევების დროს გლეხობა მასობრივად ტოვებდა თავის საცხოვრისს და იხიზნებოდა.

მეფე ერეკლემ მოიწადინა შეექმნა „მორიგე ჯარი". ეს ჯარი უნდა დამდგარიყო „სალეკო გზებზე" და სამეფოს შვიდ უძლიერეს ციხეში. მორიგე ჯარს ხალხში „მუდმივი ლაშქარი" შეარქვეს. მორიგე ჯარის დებულების მიხედვით ქართლ-კახეთის ყველა მცხოვრები მიუხედავად წოდებისა, თავისი იარაღით, თავისი პურ-ღვინით და თავისი გუდა-ნაბადით, წელიწადში ერთი თვის განმავლობაში ვალდებული იყო ჯარ-

ში ემსახურა. მეფის ბრძანებით იწერებოდა სიები სოფლების მიხედვით ვინ რომელ თვეში უნდა გასულიყო მორიგე ჯარში.

შემორჩენილია 1774 წლის ვრცელი საბუთი რომელსაც ჰქვია „მორგეში გამსვლელთა სიები გულგულიდან და არტოზნიდან.“ ამ სიის მიხედვით არტოზნელი გლეხი მეცხვარიშვილი ყოველი წლის დეკემბერში მორიგე ჯარში უნდა გასულიყო:

„ღვთით ქრისტიშობისთვეში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არტოზნიდამ იმერლიშვილი ზურაბ.

ქ. არტოზნიდამ ხაჯალიაშვილის დავითის გაყრილი ძმა დათუნა.

ქ. არტოზნიდამ ურიის შვილი ყულინისშვილი ნასყიდი ბეჟანა.

ქ. არტოზნიდამ ხიზანი პაპუნა.

ქ. არტოზნიდამ ხიზანი ბერუა.

ქ. არტოზნიდამ ოთარ მდივნის ყმა კონდოლელი პავლიაური პაპუნა.

ქ. არტოზნიდამ ამისივ ყმა წიქარაული შიო.

ქ. არტოზნიდამ ამისივ ყმა მეცხვარიშვილი ნასყიდა“.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad-909; ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ.II, თბ., 1974, გვ. 137).

სოფელი არტოზანი შიგნით კახეთში, გულგულასა და კონდოლთან ახლომდებარე სოფელია. არტოზანში მცხოვრები გლეხი ნასყიდა მეცხვარიშვილი დავით მდივნის ყმა ყოფილა. ეს დავით მდივანი უნდა იყოს იგივე პიროვნება, რომელიც იხსენიება ჩვენს მიერ უკვე განხილულ 1773 წლის დაფიცების წიგნში.

შესაძლებლად მიგვაჩნია არტოლზნელი ნასყიდა მეცხვარიშვილის კონდოლელ მეცხვარიშვილებთან დაკავშირება.

ისევ მორიგე ჯარის საჭიროებისათვის არის შედგენილი 1781 წლის შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთარი სადაც მეცხვარიშვილთა ერთი კომლი ხიზნად იხსენიება ქალაქ ცხინვალში. ცხინვალის მცხოვრებთა სია საკმაოდ

ვრცელია, ჩვენ მხოლოდ მის ბოლო მონაკვეთს მოვიტანთ, სადაც ცხინვალში იმხანად მცხოვრები ხიზნები იხსენიებიან:

„ქ. ცხინვალს ხიზანი სარდალ სახლთხუცის ყმა ბაყალი სტეფნა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი მოქალაქე დედოფლის ყმა სალმახანაშვილი მიკირტუმა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი ტყვეობიდან მოსული თიღველი კავაძე გოგია ბატონიშვილის გიორგის ყმა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი ბეკმელი ბლიაძე ივანე კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი დედოფლის ყმა ბაყალი გოგია, ამისი სიძე ქრისტეს საფლავის ყმა დავითა კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ხიზანი ბატონიშვილის გიორგის ყმა... ესტატე კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი ურია ატენელაშვილი ელია და მოშია კომლი ა, ბატონიშვილის იულონის ყმა.

ქ. აქავ ხიზანი ანახნუმ დედოფლის ყმა ყარახანაშვილი ოჰანეზა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი მოქალაქე გოლინაშვილი მეჩახმახე გასპარა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი მჭედელი ასლანაშვილი ბერუა და ხითარა კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ხიზანი ეჩმიაძინის ყმა თელბაზაშვილი პაპა და ამისი ძმა დავითა კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ხიზანი მუხრანბატონის ყმა ღამბარაშვილი არუთინა და ბერუა კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ხიზანი თარხნიშვილის გლახას ყმა ამილაშვილი გრიქორა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი თარხნიშვილის ზაზას ყმა გონგლაძე პავლე კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი ამისივ ყმა ფაფაკერაშვილი არუთინასშვილი ოსეფა და გოგია კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ხიზანი ზურაბიშვილის ყმა გიორგიშვილი ბერუა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხაზინა იარალი ეშიკაღასბაშის ყმა როსტევანშვილი გოგია კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი თბილელის ყმა მეწისქვილიშვილი გლახა და ოთარა კომლი ა. თავი ბ.
ქ. აქავ ხიზანი იულონ ბატონიშვილის ყმა დარჩიაშვილი ბერი კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ხიზანი გიორგი ბატონიშვილის ყმა ახალგორელი მექვაბე მასურა კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ხიზანი ნათლისმცემლის ყმა მოსესაშვილი ყაზარა კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ხიზანი კბილა გრიქორაშვილის ყმა ფეიქარი გოგია კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ხიზანი ავთანდილ ხერხეულიძის ყმა ცაბაძე ივანე კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ხიზანი ეჩმიაძინის ყმა მარანაშვილი აკოფა კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ხიზანი ქვათახევის ღვთისმშობლის ყმა მეურმიშვილი პეტრე კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ხიზანი ბროძველი ქაიხოსრო ამისი ძმა საამა კომლი ა, თავი ბ.
ქ. აქავ ხიზანი დავით ოქრომჭედლიშვილის ყმა მეცხვარიშვილი გოგია კომლი ა, თავი ა.“

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-1606).

ესე იგი 1781 წლისთვის ცხინვალში ხიზნად უცხოვრია გლეხს გოგია მეცხვარიშვილს, რომელიც აზნაური ოქრომჭედლიშვილის ყმა ყოფილა. ეს ოჯახი როგორც ხიზანი ალბათ გადასახადებს არ იხდიდა, მაგრამ მორიგე ჯარში ამ ოჯახიდან ერთი მეომარი გადიოდა ყოველ წლიურად.

მეცხვარიშვილთა რომელ სანათესაო ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ეს ოჯახი? დღეს ცხინვალში მეცხვარიშვილები აღარ ცხოვრობენ, თუმცა ეს გვარი გვხვდება გორსა და ცხინვალს შორის მდებარე რამდენიმე სოფელში. აქვე უნდა დავძინოთ, რომ შიდა ქართლის ყველა მეცხვარიშვილს ერთი წინაპრის შთამომავლად ვერ მივიჩნევთ, იგივე ითქმის იმერეთის და კახეთის მეცხვარიშვილებზეც.

შემდეგი საბუთი რომელშიც მეხცვარიშვილთა გვარი იხსენიება, არის გუდაძეთა და მახარაშვილთა ნასყიდობის წიგნი, რომელიც 1788 წლით თარიღდება:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისითა. ესე ამიერთაგან და ჟამთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცი მე გუდაძე შერმაზანმა და შვილმან ჩემმა ნიანიამა და დათუნამა და სახლისა მამავალმა ჩვენსამა შენ მახარა შვილს მახარესა და ძმასა შენსა ნინიასა და ადრიასა შვილსა თქვენსა გიორგისა და სოლომანსა და შიოსა და სახლისა მამავალსა თქვენსასა და დამეჭირა და ჩემი ალალი მამული მოგყიდე ერთი დღის მიწა. საქვენაქროთ **მეცხვარიშვილის** ნინიას მიწის მიდგმამდინა, საზენაქროთ შენის მიწის მიდგმამდინ, ბოლო გუდაძის მიწის მიდგმამდინ, თავი ტიალიძის სიმონას მამულის მიდგმამდინა და ავიღე ფასი სრული და არა დარჩომილარა ერთი იოტის ფასი და ღმერთმა მოგცეს და გიბედნიეროს და რომელსაც ერთს ალალს მონასყიდეს მოხმარდეს ღმერთმა შენც ისე მოგახმაროს და არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან რევაზაშვილი ბერუკა, გუდაძე პეტრე და გიორგიშვილი ღთისო და ტიალიძე სიმონა და საბაშვილი სიმონა და გორგიშვილი გოგია და მე მწყნეთელს პეტრეს დამიწერია ორთავის ყაბულობით და მოწამეცა ვარ. აღიწერა იანვრის დამდეგს. ქ~კს უოვ.“ (ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1448, საბუთი 4403).

გუდაძე იმერული გვარია, მაგრამ შიდა ქართლშიც ძველი დროიდან ცხოვრობდნენ მახარაშვილი მრავალძირიანი და ფართოდ გავრცელებული გვარია საბუთში მოხსენიებული ტიალიძე დღევანდელი ტიელიძეა. ეს გვარი ძირითადად შიდაქართლში, გორის რაიონის სოფლებში მკვიდრობს. ასევე გორის მხარეში ცხოვრობენ: რევაზაშვილებიც, გიორგიშვილებიც, გორგიშვილებიც და საბაშვილებიც. აქედან გამომდინარე საბუთში მოხსენიებული ნინია მეცხვარიშვილი, რომლის მამული ემიჯნებოდა გუდაძისა და მახარაშვილის მამულებს, სავარაუდოდ გორის მხარეში მცხოვრებ მეცხვარიშვილთა ერთ-ერთი თაობის წინაპარი იყო.

1795 წლის 29 ივლისის ერთ საბუთში მეცხვარიშვილი იმ ოცკაციანი რაზმის შემადგენლობაში იხსენიება, რომელიც შორეულ ყარაბაღში, შუშის ციხის მცველად ყოფილა გამწესებული:

„გაბედვანი სიმონ დაჰბაში
სირაძე მამუკა
გურგენიძე გოგია
კაციტაძე სესია
ბრაგვაძე გოგია
ჭუნპურიძე გოგა
დავალიძე ნასყიდა
მუხურელი გოგია
პატარიძე გოგია
ანიძე კაციელა
ეძგვერაძე მამისთვალა
გურასასშვილი თამაზა
ქაქუჩაძე მამუკა
მეცხვარისშვილი გოგია
ჭანტურიძე პავლია
გოშაძე დავითელა
ბუაძე ივანე
ორდონიძე დავითა
ჯმუხაძე ივანე
კაციტაძე პატა

ქ. მირზარაბი ამ სიით შუშის ციხეში მომსვლელს.... ოცს კაცს ოცი თუმანი მიეც. იქნება ამისი ნახევარი ი, ამდენი, რომ მისცე მიბარება მოაწერინე, ეს თეთრი ქალაქის თეთრის ანგარიშზე უნდა მიეცესთ ერთის თუმნისათვის ათი ალთმიშლული მიეც. მკათათვის კი. ქკს უპგ.“

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი 8708).

ოცმეთაურის სიმონ გაბედვანის მეთაურობით იმერელ-რაჭველთა ეს მცირერიცხოვანი რაზმი იმერეთის სამეფოდან თბილისში გადმოსულა, აქედან შუშის ციხისკენ მიემართე-

ბოდნენ. ქართლ-კახეთის სამეფო ხაზინიდან მაშველად მოსულ იმერელ მეომრებს თითო თუმანი ეძლეოდათ.

1795 წლის ზაფხულია, სპარსეთის მბრძანებელი აღამაჰმად-ხანი უკვე დაძრულია მთელი თავისი ძალებით და თბილისისკენ მოიწევს. ყარაბაღის სახანო ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის სამეფოს დაქვემდებარებაშია, ყარაბაღის ხანი ქართველი მეფის მოკავშირეა. სახანის ცენტრში, ქალაქ შუშის ციხეში ქართული ჯარი დგას. შუშის ციხის გამაგრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის დაცვისათვის. აი ამ მძიმე დროს და ასეთ მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობდა ზემოთ ჩამოთვლილი მეომრების რაზმი.

იმერელ გლეხს გოგია მეცხვარიშვილს ბედმა არგუნა იმ საბედისწერო დროს სწორედ იქ ყოფილიყო სადაც საქართველოს სჭირდებოდა. შესაძლოა გოგია მეცხვარიშვილი თავის თანამებრძოლებთან ერთად ამ საბუთის დაწერიდან უკვე რამდენიმე დღის შემდეგ შუშის ციხის ქონგურებიდან ტყვიას ესროდა ყიზილბაშებს, ხოლო ციხის დაცემის შემდეგ, თუ ცოცხალი გადარჩა, თბილისის მისადგომებთან, კრწანისის ველზე იდგა ამოგებული ხმლით.

1823 წლის კამერალური აღწერის მიხედვით გარე კახეთის სოფელ მარტყოფში უცხოვრიათ ძმებს ლუარსაბ და ანტონ მეცხვარიშვილებს. ისინი საეკლესიო გლეხები ყოფილან. იმავე აღწერიდან ირკვევა, რომ მათი მამა აზნაური საყვარელიძის ყმობიდან განთავისუფლებულა და მარტყოფში დასახლებულა.

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, აღწერა 1, საქმე 801, გვ. 80).

შემდეგი საბუთი რომელშიც მეცხვარიშვილთა გვარი იხსენიება, 1832 წლით თარიღდება. ეს არის პირობის წიგნი დადებული აზნაურ გლურჯიძესა და გლეხ მეხცვარიშვილს შორის:

„ჩყლბ წელსა, აპრილის ა.

ესე პირობის წერილი მოგეცით ჩვენ ივანე გლურჯიძემ და ჩემმა მეუღლემ ჭილაძის ბაბანას ასულმა მაკრინემა შენ **მეცხვარისშვილს** გიგოლასა ასე რომ მოგეცით ერთის დღის

სავენახე მიწა, უნდა შემოღობო და გააკეთო უკანჭალასა. აღმოსავლეთით მიხეილ შარვაშიძის მიწის მიდგმამდინ, დასავლეთით ჭალაშვილის რამაზას ვენახის მიდგმამდის, სამხრეთით ისევ რამაზას ვენახის თავის გადმოსწვრივ, ბოლოს ბასილა მამულაშვილის ვენახის მიდგმამდინ, სანამ ცოცხალნი ვართ ორნი ცოლქმარნი ყოვლის ფერის გამოსავალი ნახევარი გვაძლიო, მერე ჩვენი გარდაცვალების შემდეგ შენი იყოს საუკუნოდ, საშვილისშვილოდ. არიან ამისი მოწამენი ვინც ამაზე ხელს მოაწერს აზნაური ივანე გლურჯიძე. ამისი მოწამე ვარ თავადი ელისბარ შარვაშიძე. ამ ნამდვილის კანონიერის მოწამე ვარ თავადი მიხეილ შარვაშიძე.“

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი 8243).

აზნაური გლურჯიძეები შიდა ქართლის სოფელ მეტეხში ფლობდნენ ყმა-მამულს. არც საბუთში მოწმეებად დასახელებული შარვაშიძეები არიან გურულები ან აფხაზები. ეს შარვაშიძეები ქართლის შარვაშიძეები არიან. ისინი თავადის წოდებას ფლობდნენ, მაგრამ აზნაურ გლურჯიძეებს ენათესავებოდნენ და მეტეხში ცხოვრობდნენ.

მიგვაჩნია, რომ საბუთში მოხსენიებული გიგოლა მეცხვარიშვილი მეტეხელი გლეხია, თანაც, როგორც ჩანს თავისი ბატონებისთვის სანდო გლეხი. ეს გიგოლა მეცხვარიშვილი ჩვენი ვარაუდით მეტეხში 1765 წლის სიაში ნახსენები უმამულო გლეხის დათუნა მეცხვარიშვილის შვილი ან შვილიშვილი შეიძლება იყოს. იმ დროს, იმ სოფელში მეცხვარიშვილთა მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა.

ზემო იმერეთში, სოფელ სავანეში მცხოვრებ მეხცვარიშვილებს ზეპირი გადმოცემით ახსოვთ ერთ-ერთი შორეული წინაპრის, კიკოლას სახელი, რომელსაც ხუთი ვაჟი ჰყოლია: ეგნატე, ბიჭია, დავით (დათია), პავლია და ივანე. ზეპირი გადმოცემით თითქოს ამ ხუთი ძმისგან გამრავლებულა სავანელი მეცხვარიშვილების მთელი სანათესავო.

ქუთაისის საისტორიო არქივში აღმოჩნდა ამ ოჯახის და მისი მონათესავე კიდევ ორი ოჯახის აღწერა. საინტერესოა, რომ სავანელი მეცხვარიშვილების წინაპარ ოჯახს იმ დროს

სოფელ წირქვალში უცხოვრია და გვარსახელად მეცხოვრიშვილი ეწერა:

„წირქვალის ნათლისმცემლის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სია ჩყმ წლისათვის.

1. კიკოლა გიორგის ძე **მეცხოვრიშვილი** მა.
ცოლი მისი დარეჯან ეგნატეს ასული ლვ.
შვილნი ამათნი: ივანე ივ.
გიორგი ია.
პავლე თ.
დავით ზ.
ეგნატე ე.
სუსანა გ.

2. გიორგი სიმონის ძე **მეცხოვრიშვილი** კგ.
დები მისი: დარეჯან იბ.
სუსანა თ.
თათია ი.
დედა მათი თამარ სიმონის ასული ნა.

3. დავით ბერის ძე **მეცხოვრიშვილი** მა.
ცოლი მისი მარინე სიმონის ასული ლა.
ამათი ძე ბერი დ.

(ქუთაისის საისტორიო არქივი, ფონდი 21, საბუთი 1909) ეს სია ჩყმ წელს, ანუ 1840 წელს შეუდგენიათ. ამ დროს კიკოლა მეცხოვრიშვილი „მა“, ანუ 41 წლის ყოფილი. ესეიგი 1799 წელს დაბადებულა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მამა გიორგი 1760-1770 –იან წლებში იქნებოდა დაბადებული. აქვე შეგვიძლია დავუშვათ, რომ მეორე ოჯახის უფროსი გიორგი მეცხოვრისშვილი (23 წლის), კიკოლას უფროსი ძმის სიმონის შვილია და ბაბუის სახელი ჰქვია.

ეს მეცხოვრიშვილები რომ სინამდვილეში მეცხვარიშვილები არიან ისევ საეკლესიო ჩანაწერებით დასტურდება. მოხვის წმინდა გიორგის ეკლესიის 1873 წლის მეტრიკულ წიგნში ვკითხულობთ:

„ჩყოგ წელი მაისის 3.

ჯვარს იწერენ: შორაპნის უეზდის, სოფელსა წირქვალს მცხოვრები გლეხი ადამა ივანეს ძე **მეცხვარიშვილი** და სოფელსა მოხვას მცხოვრები გლეხის ხოსია ლაცაბიძის ასული აღათი.

ორივე მართდლმადიდებლობითი სარწმუნოების აღმსარებელნი, პირველითა ქორწინებითა.

თავმდებნი: სასიძოს მხრით, სოფელსა წირქვალს მცხოვრები გლეხი როსტომა ივანეს ძე მიროტაძე; სასძლოს მხრით ამავე სოფელსა მოხვას მცხოვრები გლეხი ქრისტესია მაქსიმეს ძე პეტრიაშვილი.

(ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, ან 39, წიგნი 456). ახალჯვარდანერილი ადამ მეცხვარიშვილი ივანეს შვილია და კიკოლას შვილიშვილი, რომლებსაც წინა საბუთში გვარად მეცხოვრიშვილი ეწერა. როგორც ჩანს აქ საქმე გვაქვს ჩაწერის შეცდომასთან. გვარსახელის ამ ორი ფორმიდან რა თქმა უნდა სწორი ფორმაა „მეცხვარიშვილი".

მეცხვარე ცხვრის მწყემსია, „მეცხვარიშვილი" მეცხვარის შთამომავალს ნიშნავს. „მეცხოვრიშვილი" არაფერს არ ნიშნავს. სიტყვა მეცხოვრე საერთოდ არ არსებობს ქართულ ენაში. თუმცა დასაშვებია ასეთი გენეზისი: ცხვარი—ცხორი—ცხოვარი. აქედან მე—ცხოვარი—შვილი და შეკვეცილი ფორმით მეცხოვრიშილი.

იმერელი მეცხვარიშვილების ერთი ნაწილისთვის XIX საუკუნის I ნახევარში გვარად „მეცხოვრიშვილი" ჩაუწერიათ, მაგრამ მათ შთამომავლებს ისევ XIX საუკუნეში გვარის ძველი და სწორი ფორმა აღუდგენიათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავანელ მეცხვარიშვილებს წინა გვარის (დავითაძის) შესახებ ერთი და იგივე გადმოცემა ახსოვთ.

მეცხვარიშვილთა გვარის სახელი (მეცხორიშვილის, მეცხოვრიშვილის სახესხვაობით) შემორჩენილია ზემო იმერეთის ტოპონიმიკაში. მაგალითად „მეცხვარიშვილების (მეცხოვრიშვილების) უბანი" - უბანი სოფელ წირქვალში, „მეცხორიშვილების ვენახები" - ვენახები სოფელ წირქოლში, „მეცხვარიშვილის (მეცხორიშვილის) წყარო" - წყარო სოფელ

ბუნიკაურში, „მეცხვარიშვილების გარემო“ - უბანი სოფელ ბუნიკაურში...

როგორც დავინახეთ მეცხვარიშვილები ცხოვრობდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. ისინი ისევე იხდიდნენ სამხედრო ბეგარას და ისევე მონაწილეობდნენ საქართველოს სამეფო-სამთავროებში მიმდინარე გაუთავებელ ომებში, როგორც ყველა სხვა გვარი, თავისი განსახლების და სოციალური სტატუსის შესაბამისად.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, მეცხვარიშვილთა გვარის მეომრები კომლზე კაცად გამოდიოდნენ: იმერეთის სამეფო ლაშქრის მემარჯვენე სადროშოში, ქართლის სამეფო ლაშქრის მოწინავე, შუაგულ და მემარჯვენე სადროშოებში, აგრეთვე კახეთის სამეფო ლაშქრის შუაგულ სადროშოში.

სხვა და სხვა დროს ერის და მამულის სამსახურში გამოჩნდნენ მეცხვარიშვილთა გვარისშვილები: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იასონ გიორგის ძე მეცხვარიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რობერტ იასონის ძე მეცხვარიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ რობერტის ძე მეცხვარიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაგდა რობერტის ასული მეცხვარიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ანზორის ძე მეცხვარიშვილი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი თამაზ თენგიზის ძე მეცხვარიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გელა ჯუმბერის ძე მეცხვარიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნატო ამირანის ასული მეცხვარიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ გიორგის ძე მეცხვარიშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო შალვას ძე მეცხვარიშვილი, გამომგონებელი ალექსანდრე შალვას ძე მეცხვარიშვილი, არქიტექტორი გიორგი ნიკოლოზის ძე მეცხვარიშვილი და სხვანი.


ამჟამად მეცხვარიშვილები ცხოვრობენ: იმერეთში. საჩხერის რაიონის სოფელ სავანეში, იტავაზაში, თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში, აგრეთვე სამტრედიის რაიონის სოფელ ტოლებში, მცირე რაოდენობით არიან ქალაქ ქუთაისშიც; შიდა ქართლში მეცხვარიშვილები ცხოვრობენ გორში და გორის რაიონის სოფელ მერეთში, გუგუტიანთკარში, კოშკში, ტყვიავში და ბერბუკში, აგრეთვე კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში და ეზატში; გარე კახეთის სოფელ უჯარმაში, მარტყოფში, სართიჭალაში და ნორიოში; შიგნით კახეთში: თელავში და თელავის რაიონის სოფელ გულგულასა და წინანდალში. არიან მცირე რაოდენობით ოდიშის სოფელ ბომბოთში (მარტვილის რაიონი) და სამცხის სოფელ ბოლაჯუში (ადიგენის რაიონი). თბილისში ცხოვრობს საქართველოს სხვა და სხვა მხარეებიდან ჩამოსახლებული მეცხვარიშვილების დაახლოებით 70 კომლი.

საქართველოში მეცხვარიშვილთა დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რაოდენობა 600 სულს აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს მეცხვარიშვილთა გვარი.

მეცხვარიშვილთა განსახლების სოფლები

სოფელი **მერეთი**, გორიდან ჩრდილოეთით, 30 კმ–ის დაშორებით მდებარეობს. სოფელს დასავლეთით ჩამოუდის მდინარე პატარა ლიახვი, ხოლო სოფელში მიედინება მისი განშტოება – ნიკრეულა.





მერეთში დაიბადა ქართველი საზოგადო მოღვაწე ***დიმიტრი ყიფიანი*** (1814-1887), რომელიც ქართულმა ეკლესიამ 2007 წელს წმინდანად შერაცხა, მწერალი ***ანტონ ფურცელაძე*** (1839-1913), ცნობილი აგრონომი, მებაღეობა–მეხილეობის პიონერი საქართველოში, ***ისაია ფურცელაძე*** (1851-1924).

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დგას სოფლის განაპირას, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სასაფლაოზე. აშენებულია 1818 წელს. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები თლილი ქვისაა, ლავგარდანი - აგურის. შესასვლელები სამხრეთით და დასავლეთითაა. სამხრეთის შესასვლელი სწორკუთხაა, გარედან დასრულებულია დეკორატიული ტიმპანით. დასავლეთისა თაღოვანია და გარედან სწორკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. ნახევარწრიულ აფსიდში ღერძზე განიერი თაღოვანი სარკმელია, რომლის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ორ-ორი თაღოვანი სარკმელი ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებშია. დარბაზის გრძივ კედლებზე წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრია, რომლებსაც

ეყრდნობა შეისრული კამარის საბჯენი თაღი. დასავლეთის შესასვლელის თავზე, კედელში ვიწრო პატრონიკეა. მასზე ასასვლელი კიბეც იმავე კედელშია დატანებული. პატრონიკეს დასავლეთით პატარა სარკმელი აქვს, ხოლო დატრბაზის მხარეს - საკმაოდ განიერი თაღოვანი ღიადი. ეკლესიის კედლები შიგნით და გარეთ შელესილია. დასავლეთ ფასადის ფრონტონის ქვეშ, აგურის წყობაში, გამოყვანილია საკმაოდ დიდი ჩაწეული ჯვარი. სამხრეთ ფასადის დასავლეთ კუთხეში, 1,8 მეტრის სიმაღლეზე ჩასმულია დიდი ზომის თლილი ქვა წარწერით, რომელიც გვამცნობს ძეგლის აშენების თარიღს. ეკლესიის ლავგარდანი სამსაფეხურიანია. ორფერდა სახურავის კრამიტი მოგვიანებით თუნუქის ფურცლებით შეუცვლიათ.

სოფე მერეთში – ***ჩასარბენი ციხე-კოშკი***. იგი სოფლის ჩრდილოეთით ერთი კილომეტრის მოშორებით, მდინარე პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე დგას. რიყის ქვით ნაგები კოშკი ცილინდრულია და თარიღდება XVII-XVIII სს-ს მიჯნით. ორსართულიანია, სარკმელებით, ბუხრით და ორმაგი სათოფურების ღრმა ნიშებით. მეორე სართულიდან საოცარი ხედი იშლება, მოჩანს მეზობელი სოფლები არბო, კულბითი, დისევი, მთები, მინდვრები და ხეხილის ბაღები.

კოშკა - სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (მერეთის ტერიტორიული ორგანო). მდებარეობს მდინარე ჭარებულის (აძურის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირას. ზღვის დონიდან 920 მეტრი, გორიდან 32 კილომეტრი.




სოფელი - **სავანე** საჩხერის მუნიციპალიტეტში, არგვეთის თემში. მდებარე-

ობს იმერეთის მაღლობზე. მდინარეების იზვარისა და ლაშურის (ყვირილის სისტემა) წყალგამყოფზე. ზღვის დონიდან 500 მეტრი, საჩხერიდან 7 კილომეტრი.




წმინდა გიორგის ერთნავიანი ეკლესია კიდევ ერთი მშვენიერი ნიმუშია XI ს-ის პირველი ნახევრის ხუროთმოძღვრებისა. ძეგლზე არის რამდენიმე ლაპიდარული წარწერა, დასავლეთის შესასვლელის ტიმპანში მოიხსენიება ხუროთმოძღვარი ჰარაბა და ერისთავთერისთავი გიორგი: "სახელითა ღმრთისაითა... დამაყენა მე. სულითა საწყალობელი ჰარაბაი აღსაშენებლად წმიდისა ამის საყდრისა, ადიდენ ღმერთმან გიორგი ერისთავთ ერისთავი, სალოცველად სულისა მათისათვის"...და სხვ... მეორე წარწერაში, სამხრეთის შესასვლელის ტიმპანში, აგების ზუსტი თარიღი 1046 წელიც - იხსენიება, მესამეში (აღმოსავლეთის ფასადზე) ნათქვამია, რომ მშენებლობაში სოფელიც იღებდა ნივთიერ მონაწილეობას. სავანეში XI საუკუნისავე მდიდრულად მოჩუქურთმებული თაბაშირის კანკელია დარჩენილი, მაგრამ იგი ძლიერ დამახინჯებულია XIX ს-ის რემონტების დროს. სამრეკლო XIX ს-ის მეორე ნახევრისაა.



მარტყოფის ღვთაების მონასტერი მდებარეობს სოფ. მარტყოფის (გარდაბნის რაიონი) მახლობლად, თბილისიდან აღმოსავლეთით, 25-27 კილომეტრზე. ტყით დაფარულ იალნოს ქედზე. **ღვთაების მონასტერი** დაარსებულია 13 ასუ-

რელ მამათაგან ერთ-ერთის მამა ანტონ მარტყოფელის მიერ VI საუკუნეში.

ქართული წერილობითი წყაროების თანახმად ამ ადგილს VI საუკუნემდე აკრიანი - ქვიანი ადგილი - რქმევია. ღვთაების მონასტრის გუჯარის თანახმად აქ ტაძარი ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს აუშენებია და ეპისკოპოსიც დაუსვამს. იგივე ცნობა დაცული აქვს პალტონ იოსელიანსაც. VI ს. პირველ ნახევარში აკრიანის მთებში დამკვიდრდა საქართველოში მოსული ასურელი მამებიდან ერთ-ერთი, ანტონ მარტყოფელი. იგი განცალკევებით, დაყუდებულ ცხოვრებას ეწეოდა, რის გამოც მას მარტომყოფელი უწოდეს, ხოლო ადგილმა სახელწოდებად მარტყოფი მიიღო. მამა ანტონს მალე გაუვარდა სახელი როგორც სასწაულმოქმედს, ამიტომ მის გარშემო მალე თავი მოიყარეს მორჩილებმა, რასაც მოგვიანებით მარტყოფის სამონასტრო ცხოვრების აღორძინება მოყვა.



XI ს., როცა კვირიკე III კახთა მეფემ კახეთის სამეფო საერისთავოებად დაყო, მარტყოფი რუსთავში მჯდომ ერისთავს დაექვემდებარა, ეკლესიურად კი რუსთველი ეპისკოპოსის სამწყსო გახდა. მონასტერი მუდამ განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. 1265 წ., როცა ოქროს ურდოს მბრძანებლის ბერქა ყაენის ლაშქრობას ქალაქი რუსთავიც შეეწირა, საეპისკოპოსო კათედრალი რუსთავიდან სწორედ მარტყოფში გადმოვიდა.

ღვთაების მონასტერი სასტიკად აოხრდა თემურ ლენგის 1395 წ. შემოსევის დროს. მაშინ დაიკარგა ტაძარში დასვენებული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც ანტონ მარტყოფელმა ედესიდან ჩამოაბრძანა და რომლის სახელი-

დანაც წარმოდგა მონასტრის სახელწოდება - ღვთაების მონასტერი.



XV ს. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, კახეთის მეფე გიორგი I-მა (1466-1476 წწ)ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით კახეთის საერისთავოები გააუქმა და მათ ნაცვლად მთელი კახეთი ოთხ სადროშოდ დაყო. მათ სათავეში კი არა ერისთავები, არამედ ეპისკოპოსები ჩააყენა. მათ შორის მეოთხე სადროშოს და იმავე დროს ჯარის მარცხენა ფლანგის წინამძღოლად დანიშნულ იქნა რუსთველი ეპისკოპოსი, რომლის სასპასპეტოში შედიოდა გარე-კახეთი ქიზიყამდე და მარტყოფ-საგურამო. რეზიდენცია კი მარტყოფის მონასტერში იყო. აქ ინახებოდა სადროშოს საბრძოლო დროშა. მის ერთ მხარეზე გამოსახული იყო ხელთუქმნელი ხატი, მეორეზე კი წმინდა გიორგი. მედროშე ეპისკოპოსები სადროშოებს მოურავების საშუალებით მართავდნენ. ასეთივე მოურავი ჰყავდა მარტყოფსაც. მარტყოფის მონასტრის მნიშვნელობა განისაზღვრებოდა მისი მდებარეობით, რომელიც თავდაცვისათვის ხელსაყრელ ადგილს გულისხმობდა. XVIII ს. დასაწყისში ერთხანს მარტყოფის მონასტერს აფარებდა თავს თურქთა ტყვეობიდან გაქცეული კახეთის მეფე კონსტანტინე II მაჰმად-ყული ხანი. ამის გამო იყო, რომ 1723 წ. თურქებმა მარტყოფი დალაშქრეს, მოსახლეობა დაარბიეს, ტაძარი დაარბიეს და ხატები შემუსრეს. ამავე XVIII ს. დასაწყისში კახეთის გამგებლის დავით II (იმამ-ყული ხანი)-ს ბრძანებით ღვთაების მონასტრისთვის უფლება მიუციათ პატარძეულიდან მარტყოფამდის სამღებროები აეშენებინა, რაც მეცნიერთა აზრით იგივე საბაჟო უნდა ყოფილიყო.

მონასტერი ძველთაგანვე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო, სადაც გახსნილი იყო სკოლა. პლატონ იოსელიანი წერს: „მამაჩემი იყო ამ სკოლის უკანასკნელი მოსწავლე“. სკოლამ არსებობა შეწყვიტა 1752 წელს ლეკთა თავდასხმის გამო.

საეპისკოპოსო ცენტრის მდგომარეობა ღვთაების მონასტერმა XIX ს. დასაწყისამდე შეინარჩუნა. მაგრამ ლეკიანობის, თუ სხვა ჯურის მტრის შემოსევების შედეგად მარტყოფის მიდამოები მოოხრდა და გაუდაბურდა. 1811 წლისთვის რუსთავის საეპისკოპოსო სამწყსო მხოლოდ 8 სოფელსა და ერთ თავადს მოითვლიდა. რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსთავის ეპარქიაც გაუქმდა. თავად მარტყოფის ღვთაების მონასტერი მოქმედებდა 1934 წლამდე. შემდეგ ის კომუნისტებმა გააუქმეს. XX ს. 50-60-იან წლებში მონასტერში უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი გახსნეს, შემდეგ კი 31-ე ქარხნის დასასვენებელ სახლად გადააქციეს. მონასტერში სამონასტრო ცხოვრება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1989 წ. აღდგა. ამჟამად აქ აფხაზეთის ეპქრქიაა თავშეფარებული. მონასტრის ისტორიის ტრაგიკულ ფურცლებში განსაკუთრებულია 1918 წ. 26 აგვისტოს ღამე. როდესაც აქ თავის სენაკში ვერაგულად მოკლეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II.

მონასტერი, რომ ნამდვილად სამხედრო დანიშნულებისა იყო, ამას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი. ის ამბობს, რომ მონასტერი არის „მსგავსი ციხისაო“. მონასტერს გარს ერტყა სათოფურებიანი გალავანი, რომლის გარშემოწერილობა 1400 მეტრს აღწევდა. მისი სიმაღლე 8მ. სიგანე კი 2მ. უდრიდა. 1752 წელს იგი დაუნგრევიათ ლეკთა მარბიელ რაზმებს. დღეისთვის მისი ნაშთებია შემორჩენილი.

სამონასტრო კომპლექსი რამდენიმე ტაძრის, სამრეკლოს, საბერეების და სხვა ნაგებობებისაგან შედგება. მონატ-


რის ტაძრები ღვთაების, ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის და მამა ანტონის სახელობისაა. მათგან უმთავრესია „ხელთუქმნელი ხატის *გუმბათიანი ტაძარი, რომლის თავდაპირველი ნაგებობა უფრო დიდი ზომის ყოფილა. ტაძარმა მრავალგზის განიცადა ნგრევა.დღეს მის ადგილას უფრო მცირე ზომის ტაძარი დგას. XIX ს. 40-იან წლებში მომხდარმა მიწისძვრამ ღვთაების ტაძარს გუმბათი მოანგრია, რომელიც იმავე პერიოდში საქართველოს ეგ ზარქოსის ბრძანებით აღდგენილ იქნა და რუსი მხატვრის ტროშინსკის მიერ ახლიდან მოხატულია. სწორედ ამ დროს იქნა განადგურებული ქართულ-ბიზანტიური ფერწერის ნაშთები. მათ შორის სვეტებზე მოთავსებული ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის პორტრეტები. ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში ანტონ მარტყოფლის საფლავია. ამავე ტაძრის ძირში შემორჩენილია საძვალე.*

ტაძრის აღმოსავლეთით დგას სამსართულიანი სამრეკლო, რომელიც ფასადში ჩადგმული წარწერის თანახმად, 1629 წ. აუგია კალატოს ახვერდას. სამრეკლო XVII ს. ნინოწმინდის, ურბნისის და ანჩისხატის სამრეკლოთა მსგავსი ნაგებობაა.

მონასტრიდან აღმოსავლეთით, მთის თავზე დგას მამა ანტონის სვეტი, რომლის ნანგრევებზე უკანასკნელ დროს ახლიდან აშენდა კოშკი. სწორედ აქ გაატარა მამა ანტონმა სიცოცხლის ბოლო 15 წელი.


ჟამთა მსვლელობაში მონასტერმა მრავალი ცვლილება განიცადა. პირველად ის IX საუკუნეში შეაკეთეს. ნიშანდობლივია, რომ კოშკი ამის შემდეგ აღარ შეკეთებულა. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე მონასტერი საფუძვლიანად შეკეთებულა. 1848-1855 წწ. ნორიოს მამასახლისის ივანე არჯევანიძის თაოსნობით (რომელიც მაკაროვის გვარით არის მოხსენიებული ხალხურ ლექსში „არსენა") სამონასტრო კომპლექსში კიდევ ერთი სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარ-

და. სწორედ ამ დროს შესრულდა ტროშინსკის მიერ ახალი მხატვრობაც. ამავე წლებში ნორიოდან მონასტერში მიმავალ საეკიპაჟო გზაზე აღმართული იქნა ქვის სვეტი შუქურისათვის, რათა გაადვილებულიყო ღამით მონასტერში ასვლა. დღეს შემორჩენილია ამ შუქურის ნაშთი, რომელსაც "მისალოცავს" უწოდებენ.




სოფელი ხოვლე მდებარეობს შიდა ქართლში, კასპის რაიონში, მდინარე ხევხმელას (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე. კასპიდან 26 კილომეტრის მანძილზე.

ისიდორიანთ ეკლესია მდებარეობს მდინარე ხევხმელას დასავლეთით, სოფლის სასაფლაოზე, თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (13,4 X 7 მ). ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია რიყის ქვა და ქვიშაქვაც. შენობა დაზიანებულია: დანგრეულია ზედა ნაწილები და სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილი. შესასვლელი დასავლეთიდანაა. ნახევარწრიულ აფსიდში სარკმლის კვალი არ შეიმჩნევა. აფსიდის ჩრდილოეთ მხარეს ნიშია, მარჯვნივ - მცირე ზომის სათავსი. გრძივი კედლები და შეისრული კამარა წყვილი პილასტრით და შეისრული საბჯენი თაღითაა დანაწევრებული. ინტერიერში შეიმჩნევა მოხატულობის ფრაგმენტები. აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილია ქვიშაქვის რამდენიმე საპირე ქვა.




კვართის წმ. გიორგის ეკლესია დგას მდინარე ხევხმელას დასავლეთით, სოფლის სასაფლაოზე, თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (6,5 X 4,7 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შენობა დაზიანებულია: ჩანგრეულია კამარა და კონქი. კრამიტი ჩრდილოეთ ქანობზე მთლიანად აყრილია, ხოლო სამხრეთ ქანობზე მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. ჩამოცვენილია ლავგარდნის ქვები ოთხივე მხარეს, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე გარედან მიწაა მიყრილი. ეკლესიას შიგნიდან თაღოვანი და გარედან არქიტრავული ორი შესასვლელი აქვს - ერთი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში, მეორე - დასავლეთ კედელში (ამოშენებულია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე გვერდზე - სწორკუთხა ნიში. ასეთივე სარკმელია სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების აღმოსავლეთ ნაწილში. დარბაზის დასავლეთ კედელში სარკმლის თაღი ებჯინება კამაროვან გადახურვას. გრძივ კედლებზე წყვილი პილასტრია.



წითელი საყდარი დგას სოფლიდან ორ კილომეტრზე, მდინარე ხევხმელას მარჯვენა ნაპირზე. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია. იგი გარედან წითელი თლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული (აქედან მომდინარეობს სახელწოდება). შენობა დაზიანებულია: მონგრეულია ზედა ნაწილები, მთლიანად დანგრეულია ეგვტერი, კარიბჭის კედლები ერთი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, საპირე ქვები ამოცვენილია. შესასვლელი ორი იყო - დასავლეთით და სამხრეთით.

ეკლესიას სამხრეთიდან ეგვტერი, დასავლეთიდან კი კარიბჭე ჰქონია მიშენებული. სამივე ნაწილი გარედან სწორკუთხა გეგმაში იყო ჩასმული. ფასადები უხვად ყოფილა მოჩუქურთმებული.



წმ. გიორგის საყდარი დგას სოფლიდან 5 კილომეტრზე, მდინარე ხევხმელას მარჯვენა ნაპირზე. თარიღდება VI-VII საუკუნეებით. ეკლესია დარბაზულია (7.8 X 7.7 მ), ნაგებია თლილი მოწითალო, ხორბლისფერი ქვით. სამხრეთიდან მიშენებული აქვს დაბალი ეგვტერი. ეკლესია დაზიანებულია: არა აქვს სახურავი და ლავგარდანი, ჩანგრეულია ეგვტერის კამარისა და სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილი. ეკლესიაში შესასვლელი ეგვტერიდანაა. მეორე შესასვლელი ეკლესიის დასავლეთ კედელშია. ორივე შესასვლელი განიერია, გარედან არქიტრავული, შიგნიდან თაღოვანი. როგორც ეკლესიის, ისე ეგვტერის აფსიდები ნალისებრია, ასეთივე ფორმა აქვს კონქების თაღებსაც. ორივე სათავსის საკურთხეველში თითო განიერი სარკმელია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. ეკლესიაში დაცულია სამმალიანი კანკელი, რომელიც ორი, სხვადასხვა ხანის, ფრაგმენტისაგან შედგება. კანკელი პირველად XI-XII საუკუნეებში დაუდგამთ. მისგან შემორჩა მხოლოდ ექვსი პროფილირებული სვეტი და გაშლილი ფოთლების რელიეფით მორთული კაპიტელი, რომელიც მოგვიანებით, შეკეთების დროს ეგვტერის კონქის კონსოლად გამოუყენებიათ. მეორე კანკელი თაბაშირით აღუდგენიათ XIV საუკუნეში. მარყუჟებით შეკრული ფესტონებიანი თაბაშირის თაღები გაუკეთებიათ და შიგ დაუდგამთ თაბაშირისვე ფილები, რომლებზეც ამოჭრილია გეომეტრიული წნულის მე-

დალიონები და ჩარჩო. როგორც ჩანს, ეს კანკელიც დანგრეულა და მისი ხელმეორედ აწყობის დროს ზოგი ნაწილი თავის ადგილას არ ჩაუსვამთ.

ეკლესიის დასავლეთ კედელზე და აფსიდში შემორჩენილია მოხატულობის დაზიანებული ფრაგმენტები. სტილისტური ნიშნებით მოხატულობა XII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ფასადების დეკორიდან შემორჩენილია აღმოსავლეთ სარკმლის თავსართის ფრაგმენტი. ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე, გვიანდელი შეკეთების დროს, რუხი ფერის დაუმუშავებელი ხის ფილები ჩაუსვამთ.

წმ. თევდორეს ეკლესია დგას სოფლის დასავლეთით 300-400 მეტრზე, სასაფლაოზე. მოსახლეობა მას კვირიკწმინდასაც უწოდებს. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (8,7 X 4,8 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. გამოყენებულია ქვიშაქვა და აგურიც. შენობა დაზიანებულია: დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე ამოვსებულია მიწით. შესასვლელი სამხრეთიდანაა, კარი გარედან არქიტრვულია, შიგნიდან - თაღოვანი. არქიტრავი ქვიშაქვისაა, თაღი მწვანე ფერის ტუფის თლილი კვადრებითაა ნაწყობი. ეკლესიას სამხრეთიდან მიშენებული ჰქონია კარიბჭე, რომლის მხოლოდ დასავლეთ კედლის ნაწილია შემორჩენილი.

იასონ გიორგის-ძე მეცხვარიშვილი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (დაიბადა გორის რაიონში, სოფელ მერეთში 1903-1976).



1929-32 წლებში ი. მეცხვარიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის მუშფაკსა და ქიმიურ ტექნიკუმში, თბილისის პოლიტექნიკურ და ამიერკავკასიის ენერგეტიკულ ინსტიტუტებში. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა იგი ქუთაისისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1936 წლიდან ხელმძღვანელობდა ქუთაისის პედინსტიტუტის (ამჟამად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ჯერ ალგებრა-გეომეტრიისა და შემდეგ მათემატიკური ანალიზის კათედრებს. 1952 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის (ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მათემატიკის კათედრას.

პროფ. ი. მეცხვარიშვილის კალამს ეკუთვნის 40 გამოქვეყნებული სამეცნიერო და მეთოდიკური ნაშრომი და 8 სახელმძღვანელო. მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები დიფერენციალურ განტოლებებში და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიაში უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა და სტუდენტთა სამაგიდო წიგნებს წარმოადგენს.

მეცნიერულ, პედაგოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად იგი საზოგადოებრივი საქმიანობითაც იყო გატაცებული; ჯერ კიდევ 1926-28 წლებში იყო თბილისის, ხოლო ომის შემდგომ წლებში — ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.


1970 წელს ი. მეცხვარიშვილს ხანგრძლივი, უმწიკლო სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ამონარიდი გაზეთიდან "Свободная Грузя, 2 июля 2005 г."

В ЗНАК ДРУЖБЫ И СОТРУДНИЧЕСТВА

В санкт-Петербурском университете 14 октября 2004 года в знак дружбы и сотрудничества между грузинскими и русскими учеными математиками-механиками была установлена мемориальная доска.

Это произошло по инисиативе общества "Грузины в России" (Президент общества академик И. Прангишвили), Грузинского обшества свази с зарубежными странами (председатель общества Р. Ломинадзе), деканата математико-механического факультета (декан проф. Г Леонов), при поддержке ректората университета (ректор академик Л. Вербитская).



ამონარიდი წიგნიდან: თორნიკე ეფრემიძე "პროფესორი იასონ მეცხვარიშვილი", თბილისი-2007).

იასონ მეცხვარიშვილი და ილია ვეკუა სანკტ პეტერბურგში ასპირანტურაში სწავლის დროს





მარცხნიდან მარჯვნივ: ნ. მუსხელიშვილი, გ. ხაჟალია, დ. ვაშაკიძე, ა. გორგიძე, ა. რაზმაძე, ა. ბარკალაია, ი. მეცხვარიშვილი, გ. ნიკოლაძე (1930)

ნიკოლოზ გიორგის-ძე მეცხვარიშვილი – საავიაციო მოტორების კონსტრუქტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (დაიბადა გორის რაიონში, სოფელ მერეთში 1911 – 1965).



1936 წელს დაამთავრა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი, მუშაობდა საავიაციო მოტორმშენებელ ინსტიტუტში და პარალელურად საავიაციო ქარხნების საკონსტრუქტორო ბიუროში.

1956 წლიდან იყო მთავარი კონსტრუქტორი საავიაციო ქარხნების: ОКБ-45 და ОКБ-500 (ამჟამად მოსკოვის მანქანათმშენებლობის საწარმოო გაერთიანება).

ОКБ-45-ქარხანაში მისი ხელმძღვანელობით დაიგეგმა და განხორციელდა ია. კლიმოვის ტურბორეაქტიული ძრავების: РД-45 და ВК-1 სერიული წარმოება და ჩანერგვა სამხედრო დანიშნულების თვითფრინავებში. ასევე მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა და დაინერგა ОКБ-500-ქარხანაში სერიულ წარმოება ს.ტ. ტუმანსკის მოდიფიცირებული ტურბორეაქტიული ძრავები Р11-300.

მის გამოგონებას ეკუთვნის პირველი საბჭოთა სამამულო რეაქტიული ძრავა **"ВК-1Ф"** ფორსაჟული კამერით.

ასევე პროფესორ ნ.გ. მეცხვარიშვილის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული თვითფრინავების **Су-15** და **МиГ-21** მაღალი საფრენო-ტექნიკური მახასიათებლების უზრუნველყოფა [www.umpo.ru].

1952 –საბჭოთა კავშირის (СССР) სახელმწიფო პრემიის ლაურიატი

1952 – სტალინის პრემიის ლაურიატი

1962 – ლენინის პრემიის ლაურიატი

დაჯილდოვებულია 2-ჯერ: შრომის წითელი დროშის ორდენით; წითელი ვარსკვლავის ორდენით; მედლებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ:

1.Авиация России. Биографическая энциклопедия, Издательский дом "Столичная энциклопедия-2009".

2.მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ვებგვერდი: გამოჩენილი კურსდამთავრებულები
http://www.mai.ru/unit/engines/fac2_history_outstanding_S-T/

რობერტი იასონის-ძე მეცხვარიშვილი — ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ექსპერიმენტული ბირთვული ფიზიკის (სპექტროსკოპიის) ფუძემდებელი საქართველოში.



05.03.1929—22.06.2013 - წარმოშობით გორის რაიონი სოფელი მერეთი.

1954 წელს დაამთავრა ლენინგრადის ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ამჟამად სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფიზიკის ფაკულტეტი ბირთვული ფიზიკის სპეციალობის განხრით, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან, განაწილებით, მუშაობა დაიწყო ლენინგრადის ა.ფ. იოფეს სახელობის ფიზიკა-ტექნიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. პარალელურად მან ჩააბარა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში და 1960 დაიცვა დისერტაცია თემაზე „Исследование конверсионных спектров возбужденных ядер ^{192}Pt, ^{192}Os, ^{169}Tm, ^{198}Hg“ და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ამავე წელს ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. პროფესორ რობერტ მეცხვარიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ფაკულტეტზე შეიქმნა მაგნიტური β-სპექტრომეტრი, მაღალი გარჩევის უნარიანობით, რომლის ანალოგი არ არსებობდა იმ დროისათვის მსოფლიოში. აღნიშნული სპექტრომეტრის საშუალებით საშუალება გაჩნდა ექსპერიმენტულად სრულყოფილად დადგენილიყო ატომის ბირთვის კვანტური მახასიათებლები, კერძოდ პირველად ყოფილიყო გაზომილი და გა-

ყოფილი L_1, L_2, L_3 ახლომდებარე კონვერსიული ხაზების ფარდობითი ინტენსივობები რიგი γ-გადასვლებისათვის რადიაქტიულ იზოტოპებში: ^{212}Bi, ^{114}In, ^{152}Sm, ^{154}Gd, ^{169}Tm, ^{192}Pt, ^{198}Hg, ^{182}Ta, ^{182}W, ^{175}Yb, ^{56}Fe, ^{88}Sr, ^{124}Tc, ^{48}V, ^{147}Nd, ^{147}Pm, ^{169}Lu, ^{170}Lu, ^{171}Lu, ^{172}Lu.

ასევე, თსუ-ში მისი ინიციატივით შემუშავებული და შექმნილი იყო სცინტიტილაციური ბეტა-სპექტრომეტრის კომპლექსი, რადიაქტიული ნახშირბადის გასაზომად, დენდროხრონოლოგიურად დათარიღებულ ნიმუშებში, პირველად გაზომილი იყო ^{14}C, ^{13}C—შემცველობა ხის რგოლებში ბოლო 400 წლის განმავლობაში. შედეგად პირველად იქნა დადგენილი 11 წლიანი ციკლის არსებობა მაუნდერის მინიმუმამდე, რითაც დაიმსხვრა ჰიპოტეზა ჯ.ა. ედიის (J.A Eddy), რომ 11 წლიანი მზის აქტივობის გალაქტიკური კოსმოსური სხივების ციკლი შეიქმნა მაუნდერის მინიმუმის შემდეგ. პროფ. რ მეცხვარიშვილის მიერ, ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ 11 წლიანი ციკლი პრაქტიკულად იგივე იყო მაუნდერის მინიმუმამდეც და მას შემდეგაც. ასევე მზის აქტივობის ციკლურობა არ ქრება მის ექსტრემალურ მდგომარეობაშიც კი.

1990 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „Исследование бета-излучения ядер и временного хода содержания радиоактивного углерода в атмосфере Земли на разработанных комплексах магнитных и сцинтиляционных бета-спектрометров" და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორ რობერტ მეცხვარიშვილის სამეცნიერო შედეგები შეტანილია მსოფლიოს ბირთვული კვლევების ბაზებში. დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ამ მონაცემების ციტირება სხვადასხვა წიგნებში, სამეცნიეროჟურნალებში, თუ მონოგრაფიებში. იგი არის 150 სამეცნიერო სტატიის, ორი მონოგრაფიის და ერთი წიგნის ავტორი ასევე მრავალი საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მონაწილე და მომხსენებელი.

ათეული წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა მის მიერ შექმნილ ბირთვული სპექტროსკოპიის განყოფილებას და ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიას. მისი ხელმძღვალელობით დაცული იქნა 7 საკანდიდატო დისერტაცია, მომზადებული იქნა დაახლოებით 100 სადიპლომო ნაშრომი, კითხულობდა სალექციო კურსებს როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ალექსანდრე შალვას-ძე მეცხვარიშვილი



1937—2007 – წარმოშობით საჩხერის რაიონი სოფელი სავანე

ინჟინერ გამომგონებელი

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის დირექტორი

სერგო შალვას-ძე მეცხვარიშვილი



08.09.1940—16.04.1996 — წარმოშობით საჩხერის რაიონი სოფელი სავანე

ბიოლოგიის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელი



იოსებ (სოსო) შალვას-ძე მეცხვარიშვილი

10.01.1949—18.05.2000 წარმოშობით გორის რაიონი სოფელი მერეთი.

ვეტერინარიის დოქტორი, პროფესორი. 1966-1971 წლებში სწავლობდა საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ვეტერინარიულ ფაკულტეტზე. 1979-1982 წლებში საკავშირო ექსპერიმენტული ვეტერინარიის ინსტიტუტის ასპირანტია. 1983 წელს ამავე ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ვეტერინალური მიკრობიოლოგის მიმართულებით და მიენიჭა ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდება.

1990 – წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკური სავეტერინარო აკადემიის (ამჟამად აგრალური უნივერსიტეტი) მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის პროფესორი.



თამაზი თენგიზის-ძე მეცხვარიშვილი

დაიბადა 1951 წლის 1 იანვარს, წარმოშობით გორის რაიონი სოფელი მერეთი.

ქიმიის დოქტორი, პროფესორი

1974 წელს დაამთავრა მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქიმიის ფაკულტეტი.

1984 წელს ამავე უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია "ტექნოგენურ ნივთიერებებში ფაზწარმოქმნები მინერალიზაციის პროცესების დროს" კოლოიდური ქიმიის მი-

მართულებით და მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდება.

მუშაობდა ამიერკავკასიის ჰიდრომედინსტიტუტში, ღრუბლების ფიზიკის ლაბორატორიაში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე, იყო ფრენების ხელმძღვანელი. არის მაღალრეიტინგული სამეცნიერო სტატიების, 2 გამოგონების და 2 რაციონალი წინადადების ავტორი.

დავით ანზორის-ძე მეცხვარიშვილი



დაიბადა 1964 წლის 8 აპრილს, წარმოშობით გორის რაიონი სოფელი მერეთი.

ფიზიკის დოქტორი, Master's Degree in Special and General Education Grades 1-6. პროფესორი.

წლების განმავლობაში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ნიუორკის TOYRO-ს კოლეჯის პროფესორი

ნატო ამირანის-ასული მეცხვარიშვილი



დაიბადა 1963 წლის 5 ნოემბერს, წარმოშობით გორის რაიონი სოფელი მერეთი.

მედიცინის დოქტორი, პროფესორი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

გელა ჯუმბერის-ძე მეცხვარიშვილი



დაიბადა 1961 წლის 9 მარტს, წარმოშობით გორის რაიონი სოფელი მერეთი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. რესპუბლიკის მთავარი ნეონატოლოგი. ო. ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრის მთავარი ნეონატოლოგი.

მაგდა რობერტის-ასული მეცხვარიშვილი



დაიბადა 1968 წლის 5 დეკემბერს, წარმოშობით გორის რაიონი სოფელი მერეთი.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი.

სამეცნიერო მიმართულება: მყარი ტანის ფიზიკა. გამოქვეყნებული აქვს 45-მდე სამეცნიერო სტატია, აქედან 15 სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

იოსებ რობერტის-ძე მეცხვარიშვილი



დაიბადა 1970 წლის 15 მარტს, წარმოშობით გორის რაიონი სოფელი მერეთი.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის მიმართულების პროფესორი.

ზუმის ილია ვეკუას ფიზიკა-[illegible]ის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.

სამეცნიერო მიმართულება: მაღალტემპერატურული ზეგამტარების სინთეზი და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევა. გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო სტატია, აქედან 35 სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

20-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და მომხსენებელი.

გარკვეულ პერიოდები მუშაობდა ბ.პ. კონსტანტინოვის სახელობის პეტერბურგის ბირთვული ფიზიკის კვლევით ინსტიტუტში, რუსეთი; ბაიროითის უნივერსიტეტი, გერმანია; სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აშშ.

მისი სტატიები ციტირებულია ფიზიკის ვერტიკალურ სიახლეების მიერ —Physics – VerticalNews


სულხან სერგოს ძე მეცხვარიშვილი



მეცხვარიშვილების გვარის პირველი წინამძღოლი.

ბატონი სულხანის იდეა იყო მეცხვარიშვილების გვარის შეკრება და გაერთიანება.

მისი უშუალო ორგანიზებით და თავდადებით მოხდა საგვარეულო ხატის დაწერა, საგვარეულო დროშის და გერბის შექმნა. ასევე მისი დახმარებით მოხდა გვარის წარმოშობის მოკვლევა ისტორიული [illegible] დან.



მეცხვარიშვილების საგვარეულო დროშა



მეცხვარიშვილების საგვარეულო გერბი